გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№400 (459) 28 თებერვალი–7 მარტი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ჰამლეტ ჭიპაშვილი: უპასუხისმგებლო საზოგადოების ადგილი ევროპაში არ არის

გვ.3

ვიზალიბერალიზაცია – ისტორიული თუ შავი დღე საქართველოსთვის?

გვ.2

წინაპართა საძვალეთის პატივდება – ლირსების საქმეა

გვ.6

თინათინ თოფურია: იმედი – სოფლის გაცოცხლებისა...

გვ.6

ჭ. ჰამლეტიძე: საქართველოსთვის აქტუალური სამი საკითხის შესახებ

გვ.8

წერილი სირიიდან – საუკუნოდ იყოს ხსენება სამშობლოსათვის და პრეზიდენტისთვის დაცხრილულო და დაფერფლილო პატრიოტებო!

გვ.5

თბილისის საქალაქო სასამართლო – უჩა ნანუაშვილის ქმედებები ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და პრესტიჟს

გვ.5

როგორ გაუყიდა მეუფე პეტრემ მეგობარს სახლი და როგორ დატოვა ღია ცისქვეშ?!

გვ.7

გვ.4

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

ავარიების მიზეზები, ახალი კამერები გზებზე, საგზაო უსაფრთხოების პროგრამა

გვ. 11

ილორი

ვიზალიბერალიზაცია – ისტორიული თუ შავი დღე საქართველოსთვის?

ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის, ანუ შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლების მიცემის შესახებ საქართველოში ზარ-ზეიმით შეხვდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა კი ამ დღეს **“ისტორიული დღე”** უწოდეს და აღნიშნეს, რომ ამით საქართველო **“დიდ სარგებელს”** მიაღწევს, რადგან **“ქვეყანა თავის ისტორიულ ოჯახს უბრუნდება”**.

საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის ნაწილის მხრიდან ე.წ. ვიზალიბერალიზაციისგან გამოწვეული ხმოს აღტაცების მიუხედავად, ბევრი ექსპერტის აზრით, საქართველოს მისი მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლება ეკონომიკურ სარგებელს ვერ მოუტანს, პირიქით – ჩვენი ქვეყანა შეიძლება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეც დადგეს. ეს გამოწვევაა დემოგრაფიული ვითარება, რომელიც კატასტროფულია ქვეყანაში: შობადობის შემცირების, მოსახლეობის დაბერებისა და ემიგრაციის მაღალი დონის გამო, 2002 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობა 657 735-ით შემცირდა და 3 713 800 ადამიანი შეადგინა. უვიზო მიმოსვლის უფლების შემდეგ კი უმუშევრობით გაწამებული, დარიბ-ღატაკი ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ შენგენის ზონის ქვეყნებში მხოლოდ 3 თვით ყოფნის უფლება ექნებათ, მასობრივად გაიქცევიან უცხოეთში ლუკმაპურისთვის საჭირო ფულის საშოვნელად და არა ლუვრში, პრადოსა თუ უფიციში გამოფენილი ექსპონატების დასათვალიერებლად. რაც შეეხება **“ისტორიულ ოჯახში”** დაბრუნებასა და **“ეკონომიკურ სარგებელს”**, საქართველოსთვის ევროპა არასოდეს ყოფილა **“ისტორიული ოჯახი”**, რადგან ის თვითონ ამბობდა და ამბობს უარს ჩვენს მიღებაზე. მეორეც, განა ევროპაში ვინმე დაუშვებს, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ევროპის ბაზარზე, თავისი კი – შეზღუდოს? ან ჩვენთვის სცხელა ახლა ევროკავშირს, რომელსაც თავისი გასჭირვებია და სადაცაა დაიშლება?

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე, ამ გაერთიანებაში საქართველოს შესვლის პერსპექტივაზე, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადასადგმელ ნაბიჯებზე, ლიბერალური კაპიტალიზმისა და, საერთოდ ევროკავშირის კრახზე წლების წინათ საუბრობდა ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.

* აი ამონარიდი მისი ინტერვიუდან, რომელიც 2016 წლის ივნისში ჩამოართვა გაზეთმა **“ასავალ-დასავალმა”**:

“ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას. საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში საქართველოს უკვე თვლიან ქურდებისა და ბანდიტების ქვეყნად, საბერძნეთისთვის ქართველები მოსამსახურეები, მოხუცების მომვლელები არიან, თურქეთისთვის კი საქართველო იაფფასიანი მეძავების მიმწოდებელია. ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც თავისი ეკონომიკის აშენება არ შეუძლია, უმუშევარი მოსახლეობის გადინება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს. მაგრამ აძლევს კი ეს ხელს ქართველი ერისა და ქვეყნის მომავალს? სხვათა შორის, ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებს, სადაც მოსახლეობა 10 მილიონზე ნაკლებია, მომავალი არ აქვთ”.

ალექსანდრე ჭაჭიას ნათქვამის ჭეშმარიტებაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გაიხსენებთ, რამდენ ადამიანს იცნობთ, ვისაც შეუძლია, სამი თვით წავიდეს ევროპაში სამოგზაუროდ ხელოვნების ნიმუშებისა და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, ან გაიხსენებთ სად, რა თანამდებობებზე მუშაობენ სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილი ქართველები და როგორ ეპყრობიან იქ მათ.

ახლა, როცა უკვე მკაფიოდ ჩანს ევროკავშირის დაშლის ნიშნები, აშკარაა მართებულობა ალექსანდრე ჭაჭიას მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული თეზისებისა, რომლებითაც ის ევროკავშირის უპერსპექტივობასა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკების კრახს უსვამდა ხაზს: “დრო, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. აღრე თუ გვიან, ევროპელებსა და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაბრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას “ბერძნული ვარიანტი” ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოიღაპარაკებენ” (“საქართველო და მსოფლიო”, 2012 წლის მაისი).

ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად რომ იმძლავრა ამ გაერთიანების მიმართ სკეპტიკურმა განწყობილებამ, აშკარად გამოჩნდა 2016 წელს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ. 2017 წელს კი საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული საფრანგეთში, ჰოლანდიასა და იტალიაში და, თუ ამ ქვეყნებში მემარჯვენე ნაციონალისტური ძალები გაიმარჯვებენ მარინ ლე პენის (საფრანგეთი), გერტ ვილდერსის (ჰოლანდია), ბეპე გრილოს (იტალია) ხელმძღვანელობით, რომლებიც ამომრჩევლებს ევროკავშირიდან თავიანთი ქვეყნების გაყვანას ჰპირდებიან, ევროკავშირის დასასრულის დასაწყისი ამ წელსვე შეიძლება დაიწყოს.

* ახლახან კვლავ მოექცა მსოფლიოს პრესის ყურადღების ცენტრში 10 წლის წინათ, 2007 წლის 10 თებერვალს, მიუნხენში უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის – ვლადიმერ პუტინის სიტყვა. მან მიუნხენში გამოსვლისას ილაპარაკა ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრულსა და მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ეპოქის დაწყებაზე, ევთოსა და დასავლური ფასეულობების დეგრადაციაზე, აშშ-ის ჰეგემონიის დასასრულსა და რუსეთის ზესახელმწიფოს როლში დაბრუნებაზე, აგრეთვე, ჩინეთისა და ინდოეთის გაძლიერებაზე.

პროგნოზი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა 10 წლის წინათ გააკეთა, თითქმის ზუსტად ახდა და ეს ცხოვრებამ დაადასტურა. ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქვა ალექსანდრე ჭაჭიამ 2015 წელს, გაზეთ **“ასავალ-დასავალისთვის”** მიცემულ ინტერვიუში:

“რუსეთი მთლიანად გათავისუფლდა ამერიკის დიქტატისგან და სუვერენულ სახელმწიფოდ იქცა. დღეს მსოფლიოში არის სულ ოთხი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. ამასთანავე, რუსეთმა გადადგა ნაბიჯები, რომლებიც, ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, მას მსოფლიოს განვითარების ალტერნატიული მოდელის მქონე ზესახელმწიფოდ აქცევს. ამ ნაბიჯებს უნდა მივაკუთვნოთ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების აკრძალვა, მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების განუხრელი მხარდაჭერა და აგრესიული ისლამისტებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. სირიის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, დაცვა ასევე მკაფიო სიგნალია სხვა, მათ შორის, მუსლიმანური სახელმწიფოებისთვის, რომ რუსეთისთვის მიუღებელია გარე ძალების ზემოქმედების შედეგად მათი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. ყველა ეს ნაბიჯი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ამერიკის პოლიტიკას მსოფლიოში და გლობალიზაციის ამერიკულ პროექტს, რომელიც გულისხმობს ერებისა და კულტურების უნიფიცირებას, ტრადიციული, ეროვნული და რელიგიური ფასეულობების უარყოფას, ხალხების უეროვნო, უსქესო, უზნეო ბიოლოგიურ მასად გადაქცევას. თუ რუსეთის პოლიტიკაში ეს ალტერნატიული ტენდენცია განვითარდება და გაფორმდება, როგორც ახალი მსოფლიო პროექტი, მაშინ რუსეთი მოიპოვებს ლიდერობას იმ მსოფლიო ძალებში, რომლებიც განუხრელად იცავენ სხვა ერების სუვერენულ არსებობასა და განვითარებას!”

ასეა – სწორედ რუსეთის პოზიციამ თავისი სუვერენიტეტის, ტრადიციული ფასეულობებისა და მართლმადიდებლობის დაცვის მიმართ, მისმა ძალისხმევამ სირიის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, აიძულა დასავლეთი, შეეცვალა დამოკიდებულება ამ უდიდესი ბირთვული სახელმწიფოს მიმართ. მუსლიმანური ქვეყნებით გარშემორტყმული საქართველოს ხელისუფლება კი, რომელიც თვალებში შესციცინებს დასავლელ პატრონებს, ხმის ამოღებას ვერ ბედავს.

* გაზეთ **“ასავალ-დასავალის”** 2015 წლის დეკემბრის ნომერში (№50) ჟურნალისტის შეკითხვას – თუკი რუსეთთან კონფლიქტის ფონზე თურქეთი გააააქტიურებს თავის ექსპანსიას კავკასიის მიმართულებით, საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჩვენ, ფაქტობრივად, ისედაც ვართ მუსლიმანურ ალყაში... რუსები ბომბავენ ისლამისტებს სირიაში, რის გამოც ისლამისტები იძულებულნი იქნებიან, გაიქცნენ და ახალი პლაცდარმი ეძებონ. საქართველო კი ახლოსაა – აქვე, გვერდით და თინა ხიდაშელის ჯარი მათ ვერ შეაჩერებს.

მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რუსეთის დახმარების იმედი გვქონდეს? – ალექსანდრე ჭაჭიამ უპასუხა: “რთული შეკითხვაა... ასეთი ვითარებისთვის წინასწარ მომზადებაა საჭიროო – კონტაქტების დამყარება, ვარიანტების გათვლა. ვინ შეიძლება ეს გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებაში? ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის და ყველაფერში აგვიანებდა – გამოდიოდა “ინიციატივებითა” და “წინადადებებით”, მაშინ, როდესაც ეს უკვე აღარავის სჭირდებოდა. ასე იყო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის მიმართ, ასე მოხდა ეკონომიკაშიც და ანალოგიური რამ ბრძელდება დღესაც. ხელისუფლებაში არ იყვნენ და არც არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ორი-სამი სვლა წინასწარ გათვალონ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმედი ვიქონიოთ, რომ ვითარება ასეთი კატასტროფული სცენარით არ განვითარდება, მაგრამ, თუკი მართლა ასე მოხდა (არადა, ეს რეალური სცენარია!), რუსეთის გარდა ჩვენი დამცველი სხვა არავინ იქნება! ასეთია ისტორიული, გეოპოლიტიკური რეალობა და საღად მოაზროვნე ადამიანებს ეს მშვენივრად ესმით”.

და მართლაც – საქართველოს ხელისუფლება არათუ დგამს ნაბიჯს რუსეთთან ურთიერთობების დასათბობად, აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, არამედ, საერთოდ, აღარ ახსენებს საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, და აშშ-ის ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ მსოფლიოში დაწყებული ცვლილებების მიუხედავად, კვლავ ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ლაპარაკობს. თუმცა, დასავლელი პატრონების უსიტყვოდ მორჩილ, შეზღუდული პოლიტიკური (და არამხოლოდ) შესაძლებლობების მქონე საქართველოს ხელისუფლებაში არც არავინ ჩანს ისეთი, ვინც რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებთან მაღალ დონეზე წარმართავს მოლაპარაკებებს.

მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ

უპასუხისმგებლო საზოგადოების ადგილი ევროპაში არ არის

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკა, ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება, საქართველოს ევროპის განუყოფელ ნაწილად თვლის, ხალხის აზროვნება, ცხადია ყველა ჩამოთვლილის გათვალისწინებით, უდავოდ შორსაა ევროპისგან და ვერც ვერასდროს გახდება მისი თანასწორი, გონებრივი გარდაქმნის გარეშე.

ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამართლებრივი გარდაქმნები ყოველთვის ხელოვნური იქნება, მენტალური გარდაქმნების გარეშე. მენტალური გარდაქმნა პიროვნების გარდაქმნაა, მისი აზროვნების შეცვლაა, რისი განხორციელებაც ზემოდან ბრძანებით ვერ მოხერხდება. ის თავისთავად უნდა მოხდეს აღზრდიდან, გარემოდან, განათლებიდან, სხვათა გამოცდილების გაზიარებიდან, მოვლენების სწორი აღქმიდან და ანალიზიდან, სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

როდესაც ქვეყნის საზოგადოების უმრავლესობა მის ირგვლივ არსებულ პრობლემებს შესაბამისად ვერ აღიქვამს და თავს იიმედებს – ასეა ყველგანო; როდესაც რეაქციას არ გამოხატავს მისთვის და ქვეყნისთვის საჭირბოროტო საქმეებზე – მაინც არაფერი გამოვაო; როდესაც საზოგადოება ზერელედ ეკიდება არჩევნების თემას, 20-30 ლარად ყიდის ქვეყნის აწმყოსა და მომავალს და მის სისხლისმწოველ პარტიას უჭერს მხარს; როდესაც არჩევნების შემდეგ მაინც, წამითაც არ იჩენს სურვილს შეამოწმოს მის მიერ არჩეულის საქმიანობა; როდესაც პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ, მიუღებელ კანონებზე და მოქმედებებზე ქუჩაში არ აწყობს საპროტესტო აქციას, ისეთს, როგორსაც ევროპაში აქვს ადგილი, ქვეყანა ვერ იქნება ევროპის თანასწორი. სამოქალაქო თვითშეგნების, სახელმწიფო პასუხისმგებლობის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარეშე – ქვეყანა ვერ გახდება ევროპის სადარი.

განვლილი 25 წლის განმავლობაში საქართველოში არ გამართულა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის არც ერთი მიტინგი, სახალხო მსვლელობა, დემონსტრაცია – ისეთი, როგორსაც სისტემატურად აქვს ადგილი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ტვინნაღრძობი ზოგიერთი აქაური პოლიტიკოსი ამას იმით ხსნის, რომ ქართველი ამაყია და პურისთვის ქუჩაში არ გამოვა. როგორც ჩანს, მას არ უნახავს ქუჩაში სამათხოვროდ ხელგაწვდილი ქართველობა.

სოციალური ხასიათის დემონსტრაციები მათხოვრობას არ ნიშნავს – საკუთარი უფლებების დაცვას ნიშნავს და ხელისუფლებისთვის დანაპირების შესრულების მოთხოვნას. ის, ვინც საკუთარ ინტერესებს ვერ იცავს, ვერც სახელმწიფო ინტერესებს დაიცავს.

ყოველივე აღნიშნული კი ნიშნავს ერთს – საზოგადოებამ არ იცის ქვეყანაში მისი როლის შესახებ. საზოგადოებას არ აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება. არ ძალუძს პასუხისმგებლობა იტვირთოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რითაც ის კარდინალურად განსხვავდება იმ ევროპისგან, ვის წევრადაც ვთვლით საკუთარ თავს.

ქართული საზოგადოება ზერელედ უყურებს ისეთ უმსგავსობას, როგორიც სახელმწიფო კორუფციაა. მისთვის არაფერს ნიშნავს დარღვევები, რასაც უხვად აქვს ადგილი ხელისუფლებაში, ბიზნესში და ა.შ. ის აუღელვებლად უყურებს იმ მანკიერ სახელმწიფო სისტემას – ჩამოყალიბებულს ივანიშვილის მიერ და წამითაც არ ფიქრობს იმაზე – რა ჰქვია ქვეყანას, რომელიც, ნაცვლად იმისა, საიდანაც უნდა იმართებოდეს, იატაკქვეშეთიდან იმართება.

საზოგადოებამ იცის, რომ ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ ისიც იცის, რომ ისინი ქვეყნის მმართველები არ არიან. ხალხმა იცის, რომ ქვეყანას მართავს მილიარდერი, რომელსაც არავითარი სახელმწიფო პასუხისმგებლობა არ გააჩნია.

საზოგადოება აუღელვებლად შეჰყურებს ფაქტიური მმართველის „საგმირო საქმეებს“ – თუნდაც ხეების გადატან-გადმოტანას და წამითაც არ ფიქრობს, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია, პირიქით აცხადებს შემდეგს – რა მოხდა, ამდენი საქველმოქმედო საქმის გამკეთებელს, ხის გადატანა დავამადლოთო.

საზოგადოება რეაგირებას არ ახდენს ხელისუფალთა მიერ საკუთარი თავისთვის დანიშნულ ზღაპრულ ხელფასებზე, პრემიებზე და ხელფასის დანამატებზე, ძვირადღირებულ უცხოურ ვოიაჟებზე, ძვირადღირებული პერსონალური ავტომანქანებით სარგებლობაზე, ნათესავ-ახლობლების თანამდებობებზე დანიშვნაზე, სხვა მანკიერებებზე.

მავანი იტყვის – რა მოხდა მერე, კაცი თავის ფულს ხარჯავს და ხეებს რგავს მომავალ ბოტანიკურ ბაღშიო.

ჯერ ერთი, როდესაც ქვეყანა გაუსაძლის ეკონომიკურ-სოციალურ პირობებშია, უბრალოდ უხერხულია ხეების გადატან-გადმოტანა. გარდა ამისა, მილიარდერმა არ უნდა გაფანტოს მისი ყურადღება ამ მეათეხარისხოვან საქმეში, მაშინ, როდესაც დანაპირები აქვს შესასრულებელი. სწორედ ის დაპირდა ხალხს ნორმალურ ცხოვრებას, სწორედ მან ჩამოაჭიკჭიკა შორსმიმავალი გეგმები, რომელთა მიხედვით უკვე ედემში უნდა ვცხოვრობდეთ. სწორედ მან შეგვირჩია ხელისუფლება – მისი ყველა შტო და დაგვპირდა, რომ ისინი პირნათლად გვემსახურებოდნენ.

ივანიშვილი ვერ განერიდება საზოგადო საქმეს, სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას, რის აცილებასაც ცდილობს. ასეთ დროს საზოგადოებამ უნდა შეახსენოს მას ომახიანი მასობრივი გამოსვლებით. ინტელიგენციამ უნდა შეახსენოს მას – მედიიდან, საჯარო გამოსვლებიდან, მაგრამ ის (ინტელიგენცია) თავს იკავებს, უფრო სწორად არ თვლის მიზანშეწონილად ამგვარ შეხსენებას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დიდია ინტელიგენციის როლი ხალხის გამოფხიზლების საქმეში. ევროპის ქვეყნებში მისი როლი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იქ ხალხია განსწავლული, სახელმწიფოებრივი აზროვნებით დამუხტული. მას არც ლიდერი სჭირდება ქუჩაში გამოსასვლელად და არც ვიღაცის მოწოდება. საკმარისია მობილური ტელეფონით ან პლანშეტით ერთმანეთის აზრის შეჯერება და მიტინგიც მზად არის.

სწორედ ამას ჰქონდა ადგილი რუმინეთში. ნახევარმა მილიონმა ადამიანმა გააპროტესტა ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი, რომლის მიხედვით, კორუმპირებული მოხელეები ციხიდან უნდა გამოსულიყვნენ. კერძოდ, 48000 ევროზე ნაკლები თანხის მიმთვისებელი ამნისტიით ისარგებლებდა, რომ არა ხალხის ხანგრძლივი, მრავალდღიანი გამოსვლები. აი, რას ამბობენ ისინი – ჩვენ არ წავალთ სამსახურში, ვინაიდან მუშაობას აზრი არ აქვს. ჩვენს ნაოფლარს ისინი იდებენ ჯიბეებში. ხალხმა ხელისუფლებას გააუქმებინა კანონი, მაგრამ სახლში არ დაბრუნდა – მთავრობის გადადგომა მოითხოვა.

საქართველოს საზოგადოებას გულისწყრომისთვის გაცილებით მეტი საბაბი აქვს, მაგრამ მან არ იცის, რას ნიშნავს საზოგადო პასუხისმგებლობა და რახან არ იცის, ზის არხეინად.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ ამნისტიის თემა ბრიუსელმა უკარნახა ბუქარესტს – ციხეები გადატვირთული გაქვთ და ნაკლებად კორუმპირებულები გაათავისუფლეთო. ეს „საშური“ რჩევა ძვირი დაუჯდა რუმინეთის ხელისუფლებას.

განა მსგავსი რჩევებით ტვინი არ გაგვიხვრიტეს ევროკავშირელებმა – ისინი, ვინც ციხეებში გყავთ – კრიმინალები კი არა, პოლიტიკური პატიმრები არიანო და ჩვენმა ხელისუფლებამ უმალ შეუნდო უგულავას, სხვებს.

სად იყო საზოგადოება? სამზარეულოში იჭორავა, გული მოიოხრა და გააგრძელა ცხოვრება. ასე იქნება მერაბიშვილის შეწყალების დროს, სააკაშვილის მოქალაქეობის აღდგენის და შინ დაბრუნების შემთხვევაში. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოებას არ აქვს სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა. არის ასეთის ადგილი ევროპაში?

გარეგნულად ჩვენ ისე გამოვიყურებით, როგორც ისინი, კანის ფერითაც ვგავართ ერთმანეთს, ჩაცმა-დახურვითაც და აზროვნება უნდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე. აი, სწორედ აზროვნებით განვსხვავდებით მათგან და განვსხვავდებით ძალიან.

ევროკავშირში შავკანიანებიც ცხოვრობენ და განსხვავებული თვალის ჭრილის პატრონებიც, ისეთები, როგორებიც ჩინელები, იაპონელები, სხვები არიან, მაგრამ მათი მენტალიტეტი ევროპულია და არაფრით განსხვავებული მისგან. ჩვენი მენტალიტეტი სხვაა. არ ვამბობ, რომ ცუდია, მაგრამ სხვაა და რახან სხვაა, ხომ არ აჯობებდა ევროპულის დაჩემების ნაცვლად, ჩვენისთვის მიგვეხედა?!

გავიმეორებ – თუ „იქაურობა“ გვინდა, „იქაურად“ უნდა ვაზროვნებდეთ, ვინაიდან „აქაური“ აზროვნებით იქ არ მიგვესვლება; თუ ევროპელობა გვინდა, ნაკლი კი არ უნდა დავმალოთ, პირიქით უნდა გამოვამზეუროთ და მოვითხოვოთ მისი შეცვლა.

საქართველოს საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. მას არც სიტყვის თქმა, მითუმეტეს გამოსვლა არ უნდა. იქნებ თითო-ოროლა ადამიანის ნათქვამმა შეანჯღრიოს ძილსმიცემული საზოგადოება, თუნდაც ისე, ცნობილმა პუბლიცისტმა, ზაურ ნაჭყებიამ რომ იყვირა (კარგი გაგებით) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2 თებერვალი), სათაურით: „როგორ დაიმონა ბიძინა ივანიშვილმა ინტელიგენცია?!“.

მოვიყვან ამონარიდს ამ სტატიიდან, რომელიც ზუსტად ასახავს იმ ვითარებას, რასაც ადგილი აქვს ქვეყანაში და რასაც შეგნებული დაბრმავება-დაყრუება ჰქვია. ინტელიგენცია, რომელიც ხალხს უნდა რაზმავდეს საქვეყნო საქმეების მოსაგვარებლად, გაყუჩებულია და უმზერს ხელისუფლების აღვირახსნილობას.

„დრომ დაადასტურა, რომ ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა ივანიშვილისგან ფულს იმიტომ იღებს, რომ ყველაფერზე (მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებზე) თვალი დახუჭოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თავისი მამა და მარჩენალი ხმალამოღებულმა დაიცვას, თუნდაც ამისთვის ობიექტური წინაპირობები არ არსებობდეს.

დასკვნა მარტივია, ქართველი ინტელიგენცია ანუ ერის „გონიერი“ ნაწილი ფულზეა გაყიდული. ის, არაფერს ხედავს, არაფერი ესმის. ერს გონი შეგნებულად გამოაცალეს. და ყოველივე ამის შემდეგ გვიკვირს, რატომ არის ქვეყანაში ყველაფერი ცუდად...“.

საფრანგეთის პრეზიდენტობისთვის მებრძოლმა ფიიონმა ბოდიში მოიხადა ცოლის თანაშემწედ გაფორმების გამო, როდესაც ის პარლამენტის წევრი იყო. მას კანონით ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ მოკირკიტე მედიამ დაადგინა, რომ ცოლს ერთი დღეც არ უმუშავია პარლამენტარი მეუღლის თანაშემწედ. ფიიონი აგრძელებს საპრეზიდენტო ბრძოლას, მაგრამ მისი რეიტინგი დაცემულია. რა ხდება აქ?

საქართველოს პარლამენტმა სამთვიანი მუშაობისთვის პატივი სცა საკუთარ თავს – 600.000-ლარიანი საჩუქრით, ცხადია „კარგი“ მუშაობისთვის. ეს ყველაფერი ხდება ხელისუფალთა მოჭარბებული პრემიებისა და ხელფასების გამუდმებული კრიტიკის და რაც მთავარია ერთობ გაუარესებული სოციალური პირობების ფონზე.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის მეხუთე წელი დაიწყო. 5 წელია მთელი საქართველო ლანძღავს ხელისუფლებას მაღალი ხელფასების, პრემიების, ხელფასზე დანამატების, სალაღობო უცხოური მივლინებების და სხვა უწესო ქმედების გამო. ხელისუფლება კი ვითომ არაფერიო, აგრძელებს მავნებლობას. 5 წელიწადია ხალხი დაიღალა ამ თემებზე ლაპარაკით, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ხუთი წელიწადია „ოცნების“ შემქმნელი ივანიშვილი ისმენს ყოველივე ამას და ნაცვლად ხელისუფლების გაკიცხვისა, ხმასაც არ იღებს. არც ქართული „ინტელიგენცია“ აპროტესტებს, ვინაიდან არ სურს ივანიშვილის მიერ დანიშნული „წამახალისებელ“, უფრო სწორად „დასამუნჯებელ“ ყოველთვიურ თანხაზე უარის თქმა. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსდის, რომ ოფიციალურად მოქრთამული მთავრობა, განცხრომაში მყოფი და გაზარმაცებული, არაფრის მაქნისია, ის არ იზრუნებს ქვეყანაზე. მას სულაც არ ანაღვლებს ხელგამოწვდილი მათხოვრები, ნაგვის ყუთებში მოფათურე მშიერი ადამიანები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 31 იანვრის ნომერში ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი თავის სტატიაში („ხელისუფლების ჩინოვნიკთა პრემირებული ღორმუცელობა“) სასტიკად ამათრახებს მას (ხელისუფლებას). „2016 წლის 11 თვეში ქვეყნის 22 საჯარო სამართლის იურიდიულ პირში პრემია-დანამატების სახით გაცემულია 34.608.088 ლარი, საიდანაც 18.446.121 ლარი დანამატია, ხოლო 16.161.967 ლარი – პრემია“.

ბატონ ოთარს მთელი სიზუსტით მოჰყავს სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ოფიციალური კორუფციის მაგალითები. ვისაც მისი სტატია არ წაუკითხავს, ვურჩევ გაეცნოს, რათა რეალური წარმოდგენა ჰქონდეს ქვეყნის მძარცველ ხელისუფლებაზე.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა გამოსვლები მოჰყვებოდა ხელისუფალთა ამგვარ ღორმუცელობას თუნდაც რუმინეთში ან ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში?!

საქართველოს საზოგადოება, აკადემიური სიმშვიდით უყურებს ყოველივე ამას და ბრიყვულად გაიძახის საკუთარი ევროპელობის შესახებ. ასეთი საქართველოს ადგილი არ არის ევროპაში. არც უვიზო მიმოსვლა ნიშნავს ევროპელობას და არც ასოცირება.

კიდევ ერთი მაგალითი – გამოქვეყნებული ოთარ ხუციშვილის მიერ: „ახმეტის რაიონის გამგებელი ბექა ბაიდაური 2015-16 წლებში მივლინებით იმყოფებოდა ამერიკაში, ისრაელში, ავსტრიაში, პოლონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, რაზეც ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები დახარჯა. მიღებული შედეგი კი საზოგადოებისთვის უცნობია. იმავე პერიოდში ბაიდაური ასევე იმყოფებოდა საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხეთსა და შვედეთში, ხოლო საახალწლოდ, მეუღლესთან ერთად საბერძნეთში დაისვენა. ასეთია ქვეყანაში სოციალური უსამართლობის სურათი, რომლის შემხედვარემ შეიძლება იფიქროს... რომ ეს ადამიანები ხელისუფლებაში პირადი ცხოვრების მოსაწყობად მოვიდნენ“.

საქართველოს გატლეკილი მედია, არასამთავრობო სექტორი, ე.წ. პოლიტიკოსები, „ინტელიგენცია“, მთელი საზოგადოება – ღრმა ჭაობში ჩაფლული, უსირცხვილოდ გაჰყვირის ევროპელობაზე, თან იმასაც ბედავს განაცხადოს, რომ თითქოს ქვეყანა უბრუნდება თავის ისტორიულ ადგილს, ევროპას და ერთი წუთითაც არ ფიქრობს, უნდა ასეთი მახინჯი იმ გაერთიანებას, ევროკავშირი რომ ჰქვია?

პასუხი თქვენთვის მომინდია.

P.S. სტატია დაწერილი იყო, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ პასუხი გასცა ზაურ ნაჭყებიას, რითაც თვითლუსტრაცია გაუკეთა საკუთარ თავს. როგორც ჩანს, აკადემია ვერ ჩაწვდა ავტორის აზრს და ნაცვლად იმისა თავი შეეკავებინა, შეტევაზე გადავიდა. აკადემიის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი აშკარად შეეფერება ზაურ ნაჭყებიას სტატიის სათაურს „როგორ დაიმონა ბიძინა ივანიშვილმა ინტელიგენცია?!“.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ არკადი რაფავას ძმის,

მოგელი რაფავას

გარდაცვალების გამო. უფალმა გაანათლოს განსვენებულის სული!

ილორი

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

აი, აქ სასწაულებრივად გაამართლა მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ! სასოფლო კულტურები საკმაოდ ძვირადღირებული "სიამოვნება" გახლდათ და რამდენიმე წელიწადში საქართველოს კოლმურნეობები გამდიდრდნენ. 1936 წელს მათმა საერთო შემოსავალმა 235 მილიონი მანეთი შეადგინა, 1937 წელს – 315 მილიონმა მანეთმა, 1938 წელს – 366 მილიონმა მანეთმა, 1939 წელს კი შემოსავალი გადასცდა 500 მილიონ მანეთს. მატერიალური წახალისება დიდი სტიმული გახლდათ მშრომელებისათვის და ადამიანები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე წევრიანდებოდნენ კოლმეურნეობებში. 1939 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს სოფლის მოსახლეობის 86 პროცენტი.

1932 წელს დაიწყო დიდი გარდაქმნები საქართველოს მრეწველობაში. შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი. დიახ, სწორედაც რომ მსუბუქი მრეწველობის! მძიმე მრეწველობის ყველა საწარმო გადაეცა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რათა ისინი უშუალოდ ყოფილიყვნენ ჩართული საკავშირო გეგმების შესრულების პროცესებში. და მართლაც, რაში სჭირდებოდა საქართველოს მძიმე მრეწველობა? რა უნდა შექმნას მან ამ მიმართულებით? სამაგიეროდ, პირველ ხუთწლედში ქვეყანა ლიდერი გახდა საბჭოთა კავშირში კვების პროდუქტების წარმოების ხაზით – ღვინის დაყენების, ჩაის გადამუშავების, კონსერვირებული ხილის წარმოების სექტორში...

მოვიხმობთ ციფრებს. პირველი ხუთწლედის განმავლობაში საქართველოში სასაქონლო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა თითქმის ექვსჯერ, მეორე ხუთწლედში კი ხუთჯერ. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პირველმა ციფრმა სტარტი აიღო თანხიდან 37,6 მილიონი მანეთი – 1927 წელს ამ თანხის სასაქონლო პროდუქცია იწარმოებოდა საქართველოში, 1932 წელს კი იგი გაიზარდა 257,5 მილიონ მანეთამდე. სწორედ ამ ციფრიდან იღებს საქართველო სტარტს მეორე ხუთწლედში, როცა სახელმწიფო გეგმები ყველა პარამეტრში იქნა გადაჭარბებული.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 334,9 მილიონი მანეთი. მეორე ხუთწლედში კი ეს თანხა გაიზარდა 960 მილიონ მანეთამდე. ამასთან, უკუქცევა დაფინანსების ტოლსწორი გახლდათ –ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს საქართველოში მრეწველობის განვითარების ტემპები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბერია უკვე აღარ იყო ამიერკავკასიაში – აი, როგორი ბიძგი მისცა საქართველოში მრეწველობის განვითარებას ამ ადამიანმა. სწორედ ბერიას მმართველობისას მოხდა საქართველოში ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოთა რეკონსტრუქცია, რამაც შედეგი მისი რესპუბლიკიდან მოსკოვში წასვლის შემდეგ მოიტანა – 1940 წელს ქვანახშირის მოპოვება თითქმის ორჯერ გაიზარდა 1938 წელთან შედარებით. ჭიათურაში მოხდა მარგანეცის მოპოვების პროცესების მექანიზაცია. ადრე ჩამორჩენილ რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები – ნავთობმომპოვებელი, მანქანათმშენებელი. აზერბაიჯანში მკვეთრად გაიზარდა ნავთობის მოპოვება. სწორედ ბერიას მმართველობის პერიოდში დაიწყო ნავთობის მოპოვება კასპიის ზღვის შელფებზე. სწორედ ამისათვის წაუყენეს ბრალი ბერიას უყაირათობაში... რატომ უნდა ეწარმოებინათ საბურღი სამუშაოები ზღვაში, როცა ნიადაგზე ნავთობის მოპოვება უფრო იაფი ჯდებოდა? ახლა აქტიურად მიმდინარეობს ნავთობის მოპოვება კასპიის ზღვის შელფებზე, მაგრამ ამ საქმის ინიციატორის ვინაობას აღარავინ იხსენებს...

მაგრამ ბერია აქტიურად ავითარებდა არა მხოლოდ ნავთობის მოპოვების დარგს. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ 1933 წელს ბერიამ სტალინს ორი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა – ერთი ეხებოდა ნავთობის მოპოვებას, მეორე კი საქართველოში იშვიათი მეტალების მოპოვებასა და წარმოებას.

ბერია წინადადებას იძლეოდა, რომ 1934 წლის გეგმაში შეეტანათ:

* კრეკინგებისა და ქარხნების მშენებლობა ნავთობის პირველადი გადამუშავებისათვის;
* ნავთგამტარი სისტემის მშენებლობა მახაჩკალასა და სტალინგრადს შორის;
* ნავთობგამტარი ხაზის ბათუმი-ბაქოს განვითარება;
* აზერბაიჯანში ახალი ნავთობპლატფორმების მოსაწყობად სადაზვერვო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება;
* კასპიის ზღვის სანაოსნოსათვის ახალი გემების მშენებლობა.

ეს ყველაფერი განიხილებოდა როგორც კომპლექსური ღონისძიება.

საქართველოში ჩამოყალიბდა პრაქტიკულად ახალი დარგი – ჩაის წარმოება – ბერიას მმართველობისას საქართველოში ამოქმედდა 35 ჩაის ფაბრიკა. ადრე ამ ქარხნებისათვის საინჟინრო-ტექნიკური აღჭურვილობა საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, მალე კი მისი წარმოება მთლიანად აითვისა ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ. და ა.შ.

ამასთან, ცეკას პირველი მდივანი კურირებდა საქართველოს მრეწველობას, ისევე, როგორც სტალინი ედგა სათავეში საბჭოთა მრეწველობას, კომპეტენტურად, საქმის ცოდნით.

1935 წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველო, აზერბაიჯანი და აფხაზეთი. იგივე ჯილდოები მიიღეს გამორჩეულმა ხელმძღვანელებმა, მათ შორის ამიერკავკასიის ფედერაციის თავკაცმა ლავრენტი ბერიამ.

ჩაფიქრებული იყო თბილისის გადაქცევა "სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად". ბერია პირადად ხელმძღვანელობდა მშენებლობას – რომლის მიზეზითაც არცერთი ტაძარი არ დანგრეულა.

ბერიას ხელმძღვანელობითვე იქცა საქართველო "საბჭოთა კავშირის საკურორტო ცენტრად". სწორედ მაშინ დაიწყო ყოველი დონის სანატორიუმების მშენებლობა – ცენტრალური სამკურნალო დაწესებულებებიდან დაწყებული – საუწყებო სანატორიუმებით დამთავრებული.

ომისწინანდელ საბჭოთა კავშირში ერთერთ ანგარიშგასაწევ პრობლემას წარმოადგენდა განათლება. მე-19 საუკუნის საქართველოში საერთო განათლების დონე 20 პროცენტზე მეტი არ გახლდათ. რა თქმა უნდა, იმპერიალისტური ომის დროს, სამოქალაქო ომისას, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეს პროცენტი არ გაზრდილა, რადგან განათლების საკითხებს სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევდა – ისე, "ძველი ბოლშევიკების" მოღვაწეობის გაცნობისას შთაბეჭდილება გექმნება, რომ ისინი ყველა პროგრამის მოგვარებას ზებუნებრივი ძალებისაგან ელოდნენ.

ბერიამ, რომელიც თავად ოცნებობდა უმაღლესი განათლების მიღებაზე. განათლების პროგრამა სიცოცხლისეულ ამოცანად დაისახა. მხოლოდ 1931-1932 წლებში საქართველოს კომპარტიის ცეკამ ექვსი დადგენილება მიიღო განათლების სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებით. წინა ექვსი წლის განმავლობაში კი ქართველი ბოლშევიკები ამ საკითხს მხოლოდ ორჯერ შეეხნენ, ისიც საკმაოდ ირიბულად. ბერიას მიერ მიღებული დადგენილებები ორ ფურცელზე მეტი არ გახლდათ, მაგრამ იგი გადაჭედილი იყო ციფრებით, მოსალოდნელი შედეგებით, შესრულებაზე პასუხისმგებელთა გვარებით. ხელმძღვანელობის სტილი მკაცრად ადმინისტრაციული გახლდათ. 1932 წლიდან საქართველო გადადის ბავშვებისა და მოზარდებისათვის დაწყებითი განათლების მიცემის ერთიანი სისტემის შექმნაზე. აქტიურად მიმდინარეობს სამედიცინო, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისათვის კორპუსების მშენებლობა. ათიათასობით ქართველი ახალგაზრდა იგზავნება სასწავლებლად კომკავშირული და პარტიული საგზურებით მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, სარატოვში... მასიურად მიმდინარეობს მუშის კვალიფიკაციის დაუფლების პროცესები.

1938 წელს საქართველო საბჭოთა კავშირში პირველ ადგილს იკავებს მოსახლეობის განათლების მხრივ. ათას მოსახლეზე სტუდენტთა რაოდენობის მხრივ კი საქართველომ ბევრად გადაასწრო ინგლისსა და გერმანიას. ქალაქებში სავალდებულო გახდა შვიდწლიანი განათლების მიღება, სოფლის მოსახლეობის უმეტესობას კი თავისუფლად შეუძლია წერა და კითხვა.

მიაქციეთ ყურადღება: დგას "სისხლიანი" 1937 წელი. ბერია კი არ შედის დამხვრეტი "სამეულის" შემადგენლობაში! მიუხედავად იმისა, რომ ეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის საპატიო პრეროგატივა გახლდათ! შეიძლება ამიტომაც ჰქონდა მას "სამსახურეობრივი უსიამოვნებები". ბერია აიძულებდა ხალხს ეკეთებინათ ის, რაც მათ შესაძლებლობებში შედიოდა. იდეალური მართვის ამგვარი ფორმულის ავტორი კი გახლდათ ამერიკელი რალფ ემერსონი.

მაგრამ, რაც შეეხება პარტიულ ბიუროკრატიასა და კულისებსმიღმა ინტრიგებს...

თითოეულისაგან შესაძლებლობის მიხედვით

სტალინი თვლიდა, რომ აღნიშნული ისტორია ინტრიგების ნაზავს წარმოადგენდა, რასაც უნდა დავეთანხმოთ. მაგრამ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კონფლიქტის ფიგურანტებს უმთავრესი განცდა – ძალაუფლებისადმი უზომო სიყვარული და ლტოლვა ასულდგმულებდათ. დრომ ყველაფერი განსაჯა და ყველას მიუჩინა საკუთარი ადგილი.

სიტყვისათვის – ისტორიული ეპოქის საზომი ფრიად სუბიექტური კატეგორიაა: ვიღაცისთვის თუ იგი "დროულია", ვიღაცისთვის "დრო კიდევ არ დამდგარა".

1931 წელს სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა ამიერკავკასიაში პარტიული ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომებისა და გადახრების შესახებ. როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების, ასევე მთლიანად საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები ატამანებივით იქცეოდნენ და უპრინციპო ბრძოლებს აწარმოებდნენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მემკვიდრეობითობას ღრმად ჰქონდა აქ ფეხი გადგმული და სახეზე იყო სოციალიზმი თავისებური "კავკასიური არომატით", როცა პირადი ინტერესები, ნეპოტიზმი (ნათესავების დაწინაურება) და ნათლიმამობა ეროვნულ და საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა იდგა და ლამის იდეოლოგიურ საფუძვლად იყო ქცეული.

1932 წლის 10 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცეკამ განიხილა საკითხი განათლების სახალხო კომისარიატში, კომისარ მარიამ ორახელაშვილის ფრთის ქვეშ არსებული ვიწრო ჯგუფის შესახებ, რომელიც "სიყალბეების გავრცელების გზით ცდილობდნენ საქართველოს კპ ცეკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაპირისპირებას, რაც ემსახურებოდა ცეკას და თბილისის კომიტეტის ცალკეული ხელმძღვანელების (კერძოდ, ამხ. ბერიას) სახელის შებღალვას".

საქართველოს განათლების სახალხო კომისარი მარია ორახელაშვილი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მამია ორახელაშვილის მეუღლე გახლდათ. ისინი საკმაოდ ცხვირაბზუებულები გახლდნენ, კავკასიური საზომითაც კი. "ჩვენ თავადთა შთამომავლები ვართ, ეს უჯიშო ლავრენტი კი საიდან გამოტყვრა, არავინ იცისო..."

ცოლ-ქმარი ორახელაშვილები ნამდვილ განცხრომაში ცხოვრობდნენ, მოითხოვდნენ მოწიწებასა და მუხლმოყრას ქვეშემრდომთა მხრიდან, რისი შენარჩუნებისთვისაც დასჭირდათ მათ 1932 წლის "ანტიბერიასეული სკანდალი". *"საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში – დაახლოებით ერთი წლის წინ ნათლიმამობისა და ჯგუფურობის მოტრფიალე ჩინოვნიკებს მაგრად წაუთაქეს კეფაში (ეს გახლდათ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიისა და, ზოგადად, აღმოსავლეთის დაავადება, რუსეთზე რომ არაფერი ვთქვათ). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამია ორახელაშვილი, მეორედ გახდა რა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი, დაემორჩილა მეუღლის ხუშტურებს და იგი დანიშნა საქართველოს განათლების სახალხო კომისრად. მარტო ეს რომ ყოფილიყო, ვინ ჩივის, მაგრამ ამ პატივმოყვარე ქალბატონმა წამსვე შემოიკრიბა გარშემო ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, საქართველოში განათლების საქმე კი მკვდარი წერტილიდან მაინც არ იძვროდა. მას მაგრად დაქაჩეს თმებში პარტიული ხაზით. საპასუხოდ, მარია პლატონიც ასულმა გააკრცელა მისი აზრით ბერიასათვის საშინელი და მომაკვდინებელი ხმები – მისი საეჭვო კავშირების თაობაზე მუსავატის კონტრდაზვერვასთან. მიუხედავად იმისა, რომ მან, როგორც ბოლშევიკთა ძველი კოჰორტის წარმომადგენელმა, კარგად იცოდა, რომ ლავრენტი ბერიასაგან ყოველი ეჭვი ჩამორეცხილი იქნა ჯერ კიდევ 1920 წელს, როცა სპეციალურმა კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა ბერიას ბაქოში მოღვაწეობის პერიოდი". (არსენ მარტიროსიანი, ისტორიკოსი).*

გარდა ამისა, 30-იანი წლების დასაწყისში ბერია სწერდა სერგო ორჯონიკიძეს:

"თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ მუსავატურ დაზვერვაში მე ჩანერგილი ვიყავი პარტიის დავალებით და ეს საკითხი განიხილა აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ბიურომ 1920 წელს, რომლის მუშაობაშიც თქვენთან ერთად მონაწილეობდნენ ამხანაგები სტასოვა, კამინსკი, მირზა დაუდ ჰუსეინოვი, ნარიმანოვი, სარქისი, რუხულა, ახუნდოვი, ბუნიათ-ზადე და სხვები (1925 წელს მე თქვენ გადმოგეცით აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) დადგენილება აღნიშნულის თაობაზე და ამ საკითხში მე სრულად ვიყავი რეაბილიტირებული)".

აი, რატომ გაჩნდა საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილება იმის თაობაზე, რომ "სიყალბეების გავრცელების გზით ცდილობდნენ საქართველოს კპ ცეკას და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაპირისპირებას, რაც ემსახურებოდა ცეკას და თბილისის კომიტეტის ცალკეული ხელმძღვანელების (კერძოდ, ამხ. ბერიას) სახელის შებღალვას".

ლამაზმანმა მარია ორახელაშვილმა მიიღო საყვედური და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მაგრამ ეს ქალბატონი არა და არ დაოკდა და მოსკოვში გაემგზავრა, კომპარტიის საკავშირო ცეკაში, იაროსლავსკისთან. მამიამ კი წერილი მისწერა სტალინს მკაცრი ულტიმატუმით: ან მე, ან ლავრენტი ბერია, ჩემი ცოლი უეჭველად უნდა აღადგინოთ თანამდებობაზე.

ბერიას კი არავინ დაუსმენია და არც საჩივრით მიუმართავს ვინმესათვის.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲓ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲮᲠᲘᲚᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲔᲠᲤᲚᲘᲚᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲝ!

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲠᲘᲘᲓᲐᲜ

2017 წელს გილოცავთ ჭეშმარიტო ქართველნო! (მართალია, სულიერად მცირედნი გადავრჩით, მაგრამ რჩეულნი) მალე გვეზეიმოს გათავისუფლება მასონურ ამერიკის, სატანისტურ-მასონ ებრაელების და მასონ ევროპის მონობისაგან, როგორც კი სირიაში ალეპოს გათავისუფლება შევძელით, რუსეთის უძლიერესი პრეზიდენტის ბატონ ვლადიმერ პუტინის უდიდესი ძალისხმევით და თავდადებით. სირიის სამთავრობო ჯარის ქართული ბატალიონის 3035 მებრძოლმა ალეპოს მახლობლად კალიპოში მოვინახულეთ ღვთისმშობლის ქართული ტაძარი და ვილოცეთ.

საოცარია, ტაძრის გარშემო ყველაფერი დანგრეულია და განადგურებულია, ჩვენი ტაძარი გადარჩენელია, ღვთისმშობელი ელის ჩვენგან სირიის, საქართველოს და მსოფლიოს გათავისუფლებას ვერაგი, გარყვნილი მასონური აშშ-სა და თაღლითი, მასონური ევროპისაგან.

საქართველო 1991-1992 წელს შობის მარხვაში საკუთარ დამოუკიდებლობას ტყვიას ესროდა. მას შემდეგ, 20 წლის განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გვიბრძოლია (მასონების მიერ შემზარავ არაბული გაზაფხულების დასამხობად): ტუნისში. ეგვიპტეში, ალჟირში, იორდანიაში, იემენში, ბაჰრეინში, ლიბიაში, საუდის არაბეთში, ომანში, სუდანში, ერაყში, იუგოსლავიაში, მაროკოში, ჯიბუტიში, სირიაში. არცერთ ქვეყანაში, არცერთ ომში, თავისი სამშობლოს და ხელისუფლების წინააღმდეგ, ის სისასტიკე, ის შემზარვი ფაქტები, რაც საქართველოში, აწ ჩაძაღლებულ მასონ-ტირან შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანის, კიტოვანის ხუნტამ, წითელმა ე.წ. ინტელიგანციამ თავის ხალხს გაუკეთა, ეს არც გვინახავს და არც გვსმენია. შეიარაღებულმა ხუნტამ იარაღის გამოყენებით დაამხო კანონიერი ხელისუფლება, ფიზიკურად და მორალურად გაანადგურა განსხვავებული აზრის მქონე ყველა პიროვნება. ერის და მამულის წინაშე პირნათელი ქართველი პოლიტპატიმრები და სამხედრო ტყვეები სიკვდილს ვებრძოდით! ჩვენი დამწვარი ფილტვების ოხშივარითაა გაჟღენთილი ციხის კედლები, საწამებლები და კარცერები. ბოროტებაზე აღმოცენებული სიკეთე ჯერ არავის უნახავს. ეს, ყველა მოდალატემ უნდა შეიგნოს! სირიელებს თავზე დაამხეს ბედნიერი ცხოვრება "დემოკრატიის დაცვის" საბაბით. ქვეყანა ჯოჯოხეთად აქციეს გახრწნილმა ამერიკელებმა, მასონმა ებრაელებმა და მასონმა ევროპელებმა. მსგავსი დამართეს სხვა ქვეყნებსაც. სისხლის მდინარეებში და უბედურების ქაოსში ჩაძირეს.

ყოველი მხრიდან ავიწროვებენ მართლმადიდებლობას. კაცობრიობა გახრწნეს სქესობრივი აღვირახსნილობით და

ახლა, უღრენენ რუსეთს.

ქართველმა ერმა მტაცებელთა ჯუნგლებში გამოატარა ტრადიციები, ზნეობა, ახლა კი, სექსუალურ სიბილწეს აყოლილი გარყვნილებით მოწამლეს მოსახლეობა. არცერთ დამპყრობელს ისეთი ზიანი არ მიუყენებია ქართველი ერისთვის, როგორიც, მასონური ამერიკის და მასონური ევროპის ლაქია-მონებმა მიაყენეს საქართველოს! როცა ქარტეხილებმა მრავალი ერი მოსპო, მაგრამ ქართველებს ვერაფერი დააკლო, მათ სპეტაკ სულებში ვერ შეაღწია ბინძურმა გარყვნილებამ. ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი, ქართველთა ღირსეული მამულიშვილთა სიამაყეს ბზარი არ გასჩენია.

დღეს კი, რა ხდება, ქართველებო?! ძირითადად თქვენ ახალგაზრდებო, საქართველოს დაუძინებელი მტერი გაიძულებთ უარი თქვათ მართლმადიდებლობაზე. სანაცვლოდ, საქართველოში დაამკვიდრა გარყვნილება, უზნეობა, სოდომისა და გომორისადმი მონური მსახურება.

ქართველებო, რა პატარები და სასაცილოები ხართ ჩვენს საამაყო წინაპრებთან შედარებით.

ქართველნო! ამერიკის ებრაელი და ევროპელი მასონები არიან ღვთის მგმობელნი, კაცობრიობის მოძულენი, სიმართლის მოძულენი.

ქართველებო! ნუ გავიწყდებათ რომ გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის, და არა საქართველოს და აშშ-ს, ევროპასა და ისრაელს შორის. გეორგიევსკის ტრაქტატი არის საქართველოსა და რუსეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარების, პატივისცემის, მშვიდობის დამყარების ხელშეკრულება.

ჭეშმარიტო ქართველებო, ღმერთი ისევ გვაძლევს შესაძლებლობას მოვიპოვოთ ის, რისთვისაც მუდამ იბრძოდნენ და იღვწოდნენ ბატონი ზვიად გამსახურდია, აწ განსვენებული მერაბ კოსტავა. მოვიპოვოთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

და ბოლოს გვინდა გითხრათ: საქართველო ჩვენი იქნება, იქნება მანამ, ვიდრე ის გმირები გვემახსოვრება, ვინც გასული საუკუნის 90-იან წლებში საკუთარი სისხლით წერდნენ სამშობლოს ისტორიის უხილავ ფურცლებზე: "ეს, საქართველოა!"

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას "კავკასიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის" 3035 მებრძოლის სახელით:

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘ,
სირიის სამთავრობო ჯარის ქართული ბატალიონის ხელმძღვანელი.

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲚᲘ,
134 ქვეყნის ნომერ პირველი ქალი-სნაიპერი. (სამთავრობო ჯარის ქალთა ბატალიონის ინსტრუქტორი)

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ,
ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲛᲬᲘᲗᲣᲠᲘ,
ᲓᲘᲐᲜᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲚᲐᲓᲝ ᲑᲝᲙᲣᲩᲐᲕᲐ,
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ,
ᲑᲔᲠᲓᲘᲐ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ,
ᲯᲔᲛᲐᲚ ᲑᲔᲓᲝᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲔᲕᲐ ᲙᲐᲘᲨᲐᲣᲠᲘ,
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ,
ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲫᲔ,
სირია, ალეპო,
2017 წლის 15 იანვარი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ – ᲣᲩᲐ ᲜᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲖᲘᲐᲜᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲡ

თბილისის საქალაქო სასამართლო სახალხო დამცველს სასამართლო სისტემის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს. როგორც სასამართლოს განცხადებაშია აღნიშნული, უჩა ნანუაშვილის უკმაყოფილება ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებმა გამოიწვია, რომლითაც სახალხო დამცველის მიერ გაშვებული ერთ-ერთი თანამშრომელი სასამართლოს ძალით სამსახურში აღდგა.

"შრომით დავაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი უჩა ნანუაშვილის ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს დაევალა მოსარჩელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნულ დავაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ უჩა ნანუაშვილი მიზანმიმართულად ეწევა სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას. ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია უშუალოდ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან, პირადი დაინტერესების მოტივით გაკეთებული განცხადებები ემსახურება სასამართლოს საქმიანი რეპუტაციის შელახვას. სახალხო დამცველის განაწყენებული პოზიცია გამოწვეულია მისი სუბიექტური დამოკიდებულებით საქმის შედეგის მიმართ.

სასამართლო შეახსენებს უჩა ნანუაშვილს, რომ მისი, როგორც სასამართლო დავაში მონაწილე მხარის საჯარო გამოსვლა და ამ ფორმით სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა განსაკუთრებით მიუღებელია საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსის გათვალისწინებით.

უჩა ნანუაშვილი გაკვირვებულია მითითებულ დავაზე საქმის განხილვის ვადის სიმცირით მაშინ, როდესაც შრომითი კატეგორიის დავებზე სასამართლოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთთვიანი განხილვის ვადა აქვს. უჩა ნანუაშვილი მიუთითებს, რომ მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება არის ტენდენციური და უპრეცენდენტო, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ, 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად განიხილა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული 163 ადმინისტრაციული საქმე, რომელთაგან 125 დასაქმებული პირების სასარგებლოდ გადაწყდა.

სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართულ მცდელობას, მით უფრო, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ისეთი მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუტის მხრიდან, როგორიც საქართველოს სახალხო დამცველია. უჩა ნანუაშვილის მოქმედებები ზიანს აყენებს როგორც სასამართლოს ავტორიტეტს და პრესტიჟს, ასევე სახალხო დამცველის ინსტიტუტს", – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

ამერიკელების მხარდაჭერით გათავხედებული ეს ანტიქრისტე მიჩვეულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მისი ყველა კაპრიზი უსიტყვოდ უნდა შეასრულოს. ამიტომაც არ მოეწონა, დანივრული ქართული მუშტი რომ მოსდეს ყბაში. იმედია, მალე ამერიკლთა მიერ დაფინანსებულ-მოქსეული ყველა ანტიქართველი მიიღებს საკადრისს და საქართველოს კვლავ დაუბრუნდება საკუთარი ღირსება!

პოეზიის კუთხე

ᲡᲐᲦᲠᲕᲘᲡᲝ ᲡᲐᲗᲐᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲔᲜᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲥᲪᲘᲐᲖᲔ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲛᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ

ყური მიუგდეთ „რუსთა-ვორის" გვარამიასა,
სკამის დაკარგვის შიშით ძალზე ვარამიანსა.
ისე მოუხმობს აქციაზე თავის მაქციებს,
თითქოს ქვეყანა, მან კი არა, ჩვენ დავაქციეთ.
„ტელე-იმედზე" თავდასხმის დროს ამოსვრილია,
მაინც ტრაბახობს, თითქოს დიდად ღვაწლმოსილია.
უტიფარია, ცუნდრუკაა, თანაც ყბედია,
მაგრამ გაჰყვირის, რომ კბილებით იცავს მედიას.
ძალზე ახარებს, როცა ნათქვამს გესლით ალესავს,
და ამ დროს „ნაცი" პარლამენტში აკრავს ბანერსა.
ვითომ ჩაგრავენ!
მიკროფონით, ხანაც უსტარით
ტვინებს გვირეცხავს ნაპროკურორნაპროკურსტალი.
და არ აწუხებს არც სინდისი, აღარც მორალი,
რაკი დასჩემდა თავხედობა გაუგონარი.
მიტომ არ გვიკვირს, ვინც იმედს და პრესას არბევდა,
რატომ თავხედობს და აქცია როგორ გაბედა?!

ᲙᲘᲜᲩᲮᲘᲪ ᲓᲐ ᲙᲘᲡᲔᲠᲘᲪ

ადრეც როდი დაგვიდევდა უსირცხვილო სირცხვილს,
ანდა როდის აწუხებდა, რაა გასაკიცხი?
უსასრულოდ ვინც გაზარდა პარტიათა რიცხვი,
ცდილობს, რომ მოგვამტვრევინოს
კისერიც და კინჩხიც.

ᲠᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ?

უძლურ ქვეყნის სულის მიხედვას,
ვინც კვლავ ანდობს სვავებს,
ნუთუ დღემდე ვეღარ მიხვდა,
ხალხის სისხლს რომ სვამენ?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲓᲐᲦᲕᲘᲜᲓᲘ!

რად არ გწამს ზეცის ძალისა,
ცოდვა ხელ-ფეხში გედება;
ერთ დროს მძვინვარე მდინარე
ბოლოს ვეღარა ღელდება!
შენ რომ გგონია, მთას დაძრავ,
იქნებ არ დგახარ მართალსა,
გიჯობდეს სულ ღმერთთან იყო
ჯიბრით იმისგან გაცლასა!
ბევრი ყოფილა ამქვეყნად,
თავს რომ ეძახდა ვაჟკაცსა –
არად აგდებდა ხატსა და
არცა ხატთაგან ნაფრქვავსა.
ბევრსა უნახავს, ცოდვილი,
ვერ ახერხებდა ჭამასა,
მერე ღმერთს ეხვეწებოდა
სიკვდილისაგან შთანთქმასა.
მაგრამ არ ჩანდა სიკვდილი,
დავიწყებოდა მასაცა,
აღარ ახსოვდა დასა და
აღარც ნაზიზღარ ძმასაცა.
სიკვდილს ნატრულობს, მაგრამ კი
სიტყვით ირგვლივეთს წამლავსა,
ყოველს აგინებს, ვერ იტანს,
ვერც მოსვლას, ვერცა წასვლასა.
მაინც ვერ ხვდება, რაც მოსდის
წარსულისაგან დამღადა,
სანაცვლოდ დაფიქრებისა
მაინც მოადენს ბალღამსა.
პირველმოსულნო ამქვეყნად –
ენძელებო და იანო,
შესძახეთ, არ დაიშუროთ:
„გონს მოდი ადამიანო!"
ყველას გახსოვდეთ, ამქვეყნად
დიდს, მცირესა და მაღალსა,
ხალთა ისეთი არ არის
შუბი შეძლებდეს მალვასა!
მიტომაც შეგახსენებდით,
ნათელ წინაპართ ნათქვამსა:
„თავს სინანული სჯობია,
ბოლოჟამს დანანებასა".
მომავლისათვის იფიქრე –
თუ არ დაეძებ შენს თავსა,
ქრისტეს ნათქვამი ცოდვები
მოეკითხება ნაგრამსა.
ნუთუ, ბელები მიტომ შვი,
ცოდვის მორევში ახრჩობდე,
შენი ალალი სისხლ-ხორცით
ქვესკნელისაკენ გარბოდე?!
მარცხენა ფართო შარასა,
მარჯვენა გიჯობს შუკისა,
ქვას ფეხსა არა წამოკრავ,
სხივი გექნება შუქისა.
ოთხი ათასი გასულა,
წელი ლაზარეს ძილისა,
გამოიღვიძე, რას უცდი?!
დროი დამდგარა დილისა!
ადამიანო, დაფიქრდი!
კმარა, ამდენ ხანს მაჭრობა!
დაღვინდი! უკვე დრო არის,
ყურძნით გეყოფა ვაჭრობა!

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲯᲘᲥᲘᲐ

ილორი

წინაპართა საძვალეთის პატივდება — ღირსების საქმეა

როგორც ცნობილია, ქართველებისა და მოძმე ებრაელთა ურთიერთობა ჯაჭვისებური სიძლიერით არის აგებული, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობითა და სიყვარულით არის განპირობებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, ქალაქი სენაკი გახდა ებრაელთა ცხოვრების გამორჩეული ძლიერი კერა. მათი ცხოვრების წესი იყო, ეროვნული ტრადიციების ღირსეული დაცვა და მომავალ თაობათა ამავე თვისებებით აღზრდა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ებრაელთა რეპატრიაცია ისრაელში – ღვთისგან აღთქმულ მიწაზე, წინაპართა წესის გათვალისწინებით.

ტერიტორიულმა მონაცვლეობამ ქებამინიჭებული ერისთვის აღთქმულ მიწაზე თავმოყრამ, დროის ცვალებადობამ ნათლად დაგვანახა, ებრაელთა წინაპრების საფლავების გავერანება, რაც ბუნების სტიქიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

მართლაცდა, ყველაფერს სამყაროში დრო-ჟამი განაგებს. სწორედაც, ამ დრო-ჟამის მსვლელობისას ჩამოიშალა საფლავების ქვები, ბუნების კატასტროფამ თავისი ხელი დაამჩნია სალოცავსაც და სასაფლაოს ტერიტორია შემოუღობავი აღმოჩნდა: დროთა განმავლობაში ღობეც შემოინგრა. სარეველეთა საპარპაშო გახდა ებრაელთა განსასვენებელი.

როგორც წესი, ყველა დროში წარმოჩნდებიან ქველმოქმედი ადამიანები, რომლებიც უშურველად და უანგაროდ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში სანიმუშო ქმედებების ავტორები ხდებიან.

სწორედ, ასეთად მოევლინა ებრაელთა სამარადჟამო სამარხებს, მოვლა-პატრონობისათვის ქალაქ სენაკში მცხოვრები – შესანიშნავი, გულითადი პიროვნება – იოსებ (იოსკა) მიხელაშვილი.

სენაკში შემორჩენილმა ებრაელთა მოდგმის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა ხელი მიჰყო ებრაელ წინაპართა საფლავების მოწესრიგებას.

იოსკა მიხელაშვილი, ხაზს უსვამს იმ ადამიანის ქველმოქმედებას, რომლის ხელშეწყობითაც მან ეს საშვილიშვილო საქმე განახორციელა. მას უდიდესი ძალისხმევით, დიდი თანადგომით დაეხმარა ბატონი დემურ გადელია.

ქალაქ ბუდაპეტში მცხოვრები ისაკ მიხელაშვილი, ყოველ ცხრა აბის სამგლოვიარო დღეს, როცა ებრაელთა ტაძრის იავარქმნასა და სხვა ტრაგედიებს იხსენებს, ჩამოდიოდა სენაკში სხვადასხვა საფლავების მოსანახულებლად.

ისაკ მიხელაშვილი, სულიერად შეძრა ებრაელთა საფლავების ბოლო წლების მდგომარეობამ.

იოსკა მიხელაშვილმა გააცნო მას, საფლავების მოწესრიგების პრობლემები, რაც გულწრფელად გაიზიარა კეთილშობილმა პიროვნებამ და გამოთქვა მზადყოფნა მოევლო ებრაელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის ბეით ხაიმისათვის.

ისაკ მიხელაშვილმა, როგორც ბატონი იოსკა პასუხობს: კატეგორიულად განაცხადა, რომ იმ სასაფლაოს კეთილმოწყობისათვის, სადაც ბებია და ბაბუა არიან დასაფლავებულნი, არაფერს დაიშურებდა.

და შედგა ებრაელთა საფლავების რესტავრაცია.

გარდა ისაკ მიხელაშვილის თანადგომისა იოსკა მიხელაშვილი იღებდა სათანადო კონსულტაციებს ისრაელში, რაბინებისაგან ,და ყველაფერი კეთდებოდა რაბინების მოსაზრებების გათვალისწინებით.

დიახ, იოსკა მიხელაშვილის განმარტებით, კეთილმოწყო ებრაელთა საფლავები, რომ მათ შორის დიდი რაბის საფლავიც, მისი სახელის საკადრისად.

დაე! იოსკა მიხელაშვილის დაუშრეტელი ენერგიით განხორციელებული ერის სანაქებო საქმე დასაბამი ყოფილიყოს ყველა ერისა და რჯულის წინაპართა საძვალეთის მოვლა-პატრონობისა.

სასურველია წინამდებარე მაგალითის გათვალიწინებით, ცნობილმა მეცენატებმა, გამოიჩინონ სათანადო ყურადღება შესაბამისად და სიამაყის გრძნობით გამსჭვალულებს გვევლოს თითოეულს საკუთარი ახლობლებისა და წინაპართა სამარხების მოსანახულებლად.

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს...“

დიდება, იმ ადამიანებს, რომელთა შესაძლებლობა, სურვილთან ერთად გამოადგება შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას. ამით ისინი სამარადჟამო ხსოვნას ჰპოვებენ უკვდავებაში.

მალხაზ ბრიგოლია,
თინათინ თოფურია,
აბაშა

იმედი — სოფლის გაცოცხლებისა...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას

ბატონო მინისტრო!

მოსაწონია, განათლების სისტემაში, კერძოდ, სასკოლო დაწესებულებებში, საგაზაფხულო არდადეგების აღდგენა.

უმშვენიერესი, ულამაზესი, მწვანე სამოსელში გახვეული გაზაფხულის ხიბლის ხილვა თავისი სიკეკლუცითა და ხალიჩასავით გადაშლილი თვალუწვდენელი ველ-მინდვრების ხვნა-თესვისა, მიწის ოხშივარის შესუნთქვა, განსაკუთრებით მოზარდთათვის ღვთაებრივი მისიის აღსრულებაა.

ეს ის დროა, როცა წლის მოსავალს სოფლის მეურნე-გლეხიკაცი, წლის საზრდოს ფაქიზად დიდი გულმოდგინებით ხნულში აგდებს, რათა მარჩენალმა მიწამ გაანოყიეროს, აღმოაცენოს, განავითაროს და დახუნძლოს ბარაქიანი მოსავლით.

დიდებული სანახაობაა, სოფლის ცხოვრების მოფუსფუსე ადამიანთა რიტმი, მომავლის იმედით.

ეს არის იდილია, თავისი სრულყოფილებით, გლეხიკაცის ნაოფლარ-ნაღვაწის წარმოჩინებისა, თავისივე ნიუანსებით.

უპრიანია, ქალაქად მცხოვრებ ბავშვთათვის, სასწავლო წლის ამ პერიოდისათვის არდადეგების გამოცხადება. მათ უმრავლესობას ფესვები, საკუთარ მამა-პაპისეულ მიტოვებულ კარ-მიდამოში აქვთ.

სწორედ, რომ შთამბეჭდავია მათი ცნობიერებისათვის წლის ამ პერიოდისათვის, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის თვალის შევლება, ასაკის შესაძლებლობით მიხმარება ბებია და ბაბუასთვის. ამ პროცესის თვალ-ყურის მიდევნება ნათელს მოფენს შემოდგომაზე მოსავლის აღების აუცილებლობასა და სიუხვეს. თუ როგორ და რა გზით ხდება საკვები პროდუქტების მოპოვება სოფლად ოჯახების გამოსაკვებად, ხოლო ნამატი ჭირნახულის მიწოდება ქალაქად, რომ შესაბამისმა წარმოებებმა მიწოდებული პოდუქცია გადაამუშაონ, ისევ და ისევ მშრომელთათვის მიიღონ საკვები პროდუქტების ნაირსახეობა.

ამ რეჟიმით, არა მარტო ადამიანთა გამოკვებაა საჭირო, არამედ თვალსაჩინოება იმ შრომისა და მიმდინარე პროცესებისა, რომლითაც დედა-მიწა საზრდოს აძლევს კაცობრიობას. ეს მომენტი კი, ყმაწვილთა მონდომება და სურვილია, რომ თავისი წვლილი ნაწილობრივ შეიტანონ საგაზაფხულო სამუშაოებში.

მოგეხსენებათ, რომ მოზარდის ცნობიერება, დაუწერელი სუფთა ქაღალდია, რომელზედაც, ჩვენ უფროსები, მაგალითი ვართ, ჩვენივე ქმედებებით ჩავწეროთ ის დიდი სიყვარული ადამიანთა არსებობისა და ურთიერთობებისა, რასაც კაცთმოყვარეობა ჰქვია

ყველაფერი, ეს ერთობლიობაში ძლიერი სოფლის საწინდარია.

ძლიერი სოფელი კი ძლიერი სახელმწიფოა. სწორად აღნიშნა ბატონმა პრემიერმა, თავის გამოსვლაში, რომ აღდგენილიყო საგაზაფხულო არდადეგები რომლის გაზიარება, თითოეული მოსწავლისათვის გონების დასვენებაა, ახალი ენერგიით შევსებაა, რათა მომავალში სადი აზროვნებით, გაკაჟებული სხეულით დაეწაფონ სწავლას. სწავლა, რომელიც უპირველესია ქვეყნის აღმშენებლობისა და მისი ეკონომიკის განვითარებისათვის.

პირადად მე და ჩემი შვილიშვილი ლიზი ბარათელი, რომელიც თბილისში ცხოვრობს და სწავლობს. თბილისის 24-ე სკოლაში, კარგად შევხვდით სისტემაში საგაზაფხულო არდადეგების გამოცხადებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვის სხარტი გონება ღრუბელივით ისრუტავს ყოველივე ახალს და იჩენს ინტერესს სიახლისადმი. როგორც მოგახსენეთ, ეს მყარი საძირკველია სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისათვის მისი კულტურული და ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად

კარგია ეს წამოწყება და ვინძლო გაითვალისწინოთ სასწავლო წლის დამამთავრებელი თვის შემოკლებისა და მაისის თვის ბოლომდე ათვისების ხარჯზე. ივნისის ბუნებრივ პირობებში მოსწავლეებს აზროვნებაში მოთენთილობა შეეტყობათ ხოლმე, რაც, ჩემი აზრით, უარყოფითად მოქმედებს ცოდნის მიღებაზე.

გავკადნიერდები და სასწავლო წლის დასაწყის საკითხს შევეხები. სექტემბრის დამდეგი სასწავლო პროცესის განახლებისთვის ყველაზე მისაღებად მიმაჩნია.

იმედს ვიტოვებ, რომ შესაბამისი სამსახურები ჩაერთვებიან ამ სახელდახელო პროექტის განხილვაში. ფსიქოლოგ-ანალიტიკოსები თავიანთ აზრს ჩამოაყალიბებენ სასწავლო პროგრამის სრული კურსის განხორციელებაზე მოსწავლეთა თანაბარზომიერი დატვირთვის პირობებში. დედამიწა, სადაც ოდითგან უცხოვრიათ ადამიანთა წინაპრებს, იმდენად მიმზიდველია ბავშვთა სუფთა გონებისა და გულისთვის, რომ ქალაქად თუ სოფლად ისინი, ჩვენი მომავალი თაობა, განუზომელ ინტერესს გამოხატავენ ყველაფრის მიმართ რაც მათ ირგვლივაა.

ჩემი შვილიშვილი ლიზისნაირი ბავშვების კისკისითა და ჟრიამულით აივსება მიტოვებული სახლები სოფლებში, ეს კი სიცოცხლის მომტანია და ვიმედოვნებ იქნებ წლობით დახურული ჭიშკრებიც გაიღოს..

უსაზღვროდ ვტკბები სოფელში ჩემი ლიზიკოს სტუმრობისას. ეზოს ყველა კუთხე სიხარულით ივსება, ყველგან ისმის მისი სიცილ-კისკისი, ყველა ნივთს ესალმება, ფრთოსანთა და ცხოველთა ენით სულდგუმლობს. თითქოს მათი ენა ესმოდეს. საამოა ცქერა მისი „ფეხშიშველა ცვრიან ბალახში გავლისა“, როგორი სინაზითა და ხალისით შეიგრძნობს დილის ცვარის სიამეს, რომელიც მზის სხივზე ათასფრად ციმციმებს. რაც მთავარია, გარიჟრაჟზე ადგება თუ არა, აქტიურად ებმევა საოჯახო საქმიანობაში, მაღვიძარას საღამოთი ბალიშის ქვეშ ამოიდებს, რომ დროულად წამოდგეს და ჩემ გვერდით თავისი ასაკის კვალობაზე სიამოვნებით მონაწილეობს სოფლის ცხოვრების ყოველდღიურობაში.

სიხარულით ვივსები, როცა ჩემი ლიზი დიდი სიყვარულითა და მონდომებით უვლის ფრინველსა თუ პირუტყვს, ზოგჯერ შიშსაც შევუპყრივარ, ცხოველებს ისე მიეთამამება.

მისი ცქერისას, ხშირად მიფიქრია: ნეტავ ბავშვების უმრავლესობა დაინტერესდეს ამგვარი სოფლური ცხოვრებით, რათა ყველგან კრიახებდეს კრუხ-წიწილა, ისმოდეს მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა, ჰაერში იკლაკნებოდეს აბრიალებული ბუხრის კვამლი, გაისმოდეს ძროხების ბღავილი, გოჭების ჭყვიტინი, ყმაწვილთა ჟრიამული, მენახირეთა გადაძახილი.

მერედა, რა თამაშობები იცოდნენ სამწყემსურში და განა მხოლოდ თამაშობა?! ყდაშემოცლილ ნათხოვარ წიგნებს მენახირენი მორიგეობით კითხულობდნენ მოცალეობისას და ცოდნასაც ეწაფებოდნენ ბუნების წიაღში... დღეს ზოგიერთი მათგანი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა.

სანუკვარი და საამური იქნებოდა ცივილიზაციის ამ ხანაშიც კერიაზე ცეცხლი არ ჩამქრალიყო, ჩამქრალი გაღვივებულიყო და ცეცხლის ენები თამაშ-თამაშით აღვიძებდეს გონებას აწმყოსას, აცოცხლებდეს მოგონებებს წარსულზე, აღვივებდეს უკეთესი მომავლის რწმენას...

უფლის ნებით სოფლის სიძლიერე ნამდვილად ქვაკუთხედია ძლიერი სახელმწიფოსი.რასაკვირველია, მჩქეფარე ქალაქური ცხოვრების მხარდამხარ! ამ სრულყოფილების, იდილიის განხორციელებას ხელს უნდა უწყობდეს სოფლებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო საშუალებები და მგზავრობის ღირებულება უნდა იყოს მისაღები ყველასთვის, მით უფრო მოსწავლეებისათვის.

მთავრობამ ყურად უნდა იღოს ქვეყნის სასიკეთო საქმის კეთება და სახელოვანი მამულიშვილების ნაკვალევზე იარონ უთვალავმა ლიზიკომ, დავითმა, ქეთევანმა, თამარმა, ლევანმა, კახაბერმა, გიორგიმ.... და სხვათა და სხვათა...

მე და ჩემნაირი მრავალი გულშემატკივარი ვიმედოვნებთ, რომ თქვენ, როგორც მთავრობის წევრს, ხელგეწიფებათ ამ დიდად საშური საქმის განხორციელება. გზა გაუხსენით ოჯახების გაკეთილშობილებას და ეს იქნება ერთი დიდი აგურის დადება სოფლის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის.

თინათინ თოფურია,
აბაშა

როგორ გაუყიდა მეუფე პეტრემ მეგობარს სახლი და როგორ დატოვა ღია ცისქვეშ!

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

მარტვილის მოსახლეობა შველას ითხოვს და საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუკი საპატრიარქო მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიას არ ჩამოაცილებს!!! სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ. მეუფე პეტრეს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და განაწყენებული ხალხი ჰყავს. მეორე უკიდურესობა კი ისაა, რომ მარტვილის ეპარქიამ გადაწყვიტა არაქრისტიანული მეთოდებით იბრძოლოს ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ შევეცადეთ, დაგვეცვა ჟურნალისტური ეთიკა, მეუფე პეტრეს ვთხოვეთ ინტერვიუ, გავუგზავნეთ კითხვები, რაზეც უარი განაცხადა და შემოგვითვალა, რომ ის ცილისწამებას მდუმარებით ხვდება...

მეუფე პეტრეს მიმართ კონკრეტული ადამიანები გამოთქვამენ საკუთარ გულისტკივილს. როგორც ჩანს, ისინი იძულებული გახდნენ, ემხილათ საეკლესიო პირი. მაგრამ რაში გამოიხატება მეუფის მდუმარება?

იღუმენია გამყრელიძე Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს:

„მეცოდება ყველა ჟურნალისტი, რომელიც მზად არის, 30 ვერცხლის საფასურად დაწეროს და გაავრცელოს ცილისმწამებლური შეკვეთილი წერილები...

„ალიაში" გამოქვეყნებული წერილის სულისჩამდგმელ გიორგი ანდრიაძეს და შორენა თეთრუაშვილს ქრისტესმიერი სიყვარულით შევახსენებ, რომ უფალი მეფობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას და ჭეშმარიტების დამცველ მღვდელმთავრებს!.. და ვურჩევ, აღიარებითა და სინანულის გზით გადაირჩინონ საკუთარი სული... პირადადაც მითქვამს და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ ეს ორი პერსონა არის ჩემი ქვეყნისა და ჩემი ეკლესიის მტერი, შორენას მორჩილება არ არის ჩემი საყვარელი სულგრძელი პატრიარქის მორჩილება..."

ძვირფასო მკითხველო, როგორც ხედავთ, აქ ვითარება იმაზე დრამატიზებულია, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

შორენა თეთრუაშვილი გახლავთ პატრიარქის პირადი მდივანი, რომელსაც იღუმენია დედა თამარი (გამყრელიძე) მოიხსენიებს ეკლესიის მტრად... ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჭყონდიდის ეპარქია პატრიარქს ებრძვის.

დედა თამარს კი ქრისტესმიერი სიყვარულით შევახსენებ, ნუ იდარდებს ჩემზე და ნუ შევეცოდები, ვინ იყიდება 30 ვერცხლად და ვინ აქვეყნებს ცილისმწამებლურ შეკვეთილ წერილებს, ეს უფალმა უკეთ უწყის, ხოლო ჩვენი მხრიდან, შევეცდებით ამის დამტკიცებას და ვიმედოვნებთ, რომ უფალი შეგვეწევა, ვამხილოთ ფარისევლები...

ვაპირებდით გამოგვექვეყნებინა დოკუმენტები და ინტერვიუები იმ ადამიანებთან, ვისაც მეუფე პეტრემ მიწის ნაკვეთები დაათმობინა. ამ ადამიანებმა სამართალს ვერ მიაგნეს. ჭყონდიდის ეპარქიამ რომ არ იფიქროს, რომ მიკერძოებულად მხოლოდ მარტვილის მრევლის პრეტენზიებით დავინტერესდით, დროებით ვაჩერებთ ამ მასალას იმ იმედით, რომ მეუფე პეტრე ინტერვიუს მოგვცემს. ახლა გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს ამერიკის მეგობართა კლუბის პრეზიდენტთან ილია ზუკაკიშვილთან, რომელმაც ჩვენს წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის შემდეგ 24-წლიანი დუმილი დაარღვია და დღეს პირველად შეიტყობთ დამალულ სიმართლეს მეუფე პეტრეს (ცაავა) შესახებ.

— ჩემთვის დაუჯერებელი იყო ინფორმაცია, რომ მეუფე პეტრემ (ერისკაცობაში პეტრე ცაავამ) მეგობარს სახლი მოტყუებით გაუყიდა და ღია ცისქვეშ დატოვა. ინფორმაციის გადამოწმება დავიწყე და კვალმა თქვენამდე მომიყვანა. გაგვარკვიეთ, ვინ არის პეტრე ცაავა, რა მოხდა რეალურად?

— ეს ისტორია 24 წლის წინათ მოხდა, მე არასოდეს, არსად ამაზე არ მისაუბრია ძალიან ვიწრო წრის გარდა, მედიის არც ერთი საშუალებისთვის ინტერვიუ არ მიმიცია და თქვენთან ვარღვევ 24-წლიან დუმილს. ვცდილობდი, მხოლოდ ჩემი ოჯახის ტკივილად დარჩენილიყო ის, რაც მოხდა. სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ ეს პიროვნება, ადრე თუ გვიან, გამოჩნდებოდა და პატიებას მაინც მთხოვდა, მით უმეტეს, სასულიერო ცხოვრებაში მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია და ამ პოზიციიდან გამომდინარე, უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი და სულ ცოტა, ბოდიში მოეხადა. ისტორია კი დაიწყო ასე: დაახლოებით 1992 წელი იყო, მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი, **„მეორე არხის"** რეჟისორად. როგორც ყველას, იმ პერიოდში ჩვენს ოჯახსაც უჭირდა, ჩემი არასრულწლოვანი ძმა წვრილმანი ხულიგნობისთვის დაიჭირეს, ჩემს ოჯახს მისი ციხიდან დახსნის საშუალება არ ჰქონდა, პოლიცია 2000 დოლარს ითხოვდა. თუ საქმე პროკურატურასა და სასამართლოს გადაეცემოდა, შესაბამისად, თანხაც გაიზრდებოდა. მაქსიმალურად ვიყავი გადართული ჩემს სამუშაოზე, რომ რაც შეიძლება ბევრი სარეკლამო შეკვეთა ამეღო და ძმის გამოსახსნელი ფული შემეგროვებინა. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, — დამკვეთია მოსული და დაელაპარაკეო. შევხვდი ამ ადამიანებს, ერთ-ერთი მათგანი იყო პაატა ცაავა (მეუფე პეტრე). აღმოჩნდა, რომ მათ დოკუმენტური ფილმის შეკვეთა უნდოდათ. მკითხეს, ხარ თუ არა თანახმა, კონკრეტული თანხის სანაცვლოდ ეს ფილმი გადაიღოო. ვკითხე, რამდენი იქნებოდა ჩემი ჰონორარი. პაატა ცაავამ მითხრა, რომ ამ ფილმში 2000 დოლარს გადაიხდიდა. ვიფიქრე, ფილმს გადავიღებ და ძმასაც დავიხსნი-მეთქი... პაატა ცაავა ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი აღმოჩნდა, დეტალურად გამომკითხა, ვინ ვიყავი, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები. დედაჩემი წარმოშობით სამეგრელოდანაა და ეს რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა. მეორე დღეს შემატყობინეს, რომ დოკუმენტურ ფილმს ვიღებდით არა საქართველოში, არამედ სომხეთში... არც ამისთვის მიმიქცევია ყურადღება, დავთანხმდი, სადაც გინდათ, იქ წავიდეთ და გადავიღოთ-მეთქი.

— რა უნდა გადაგეღოთ სომხეთში?

— როგორც პაატა ცაავამ მითხრა, უნდა გადაგვეღო სომხეთის ღირსშესანიშნაობები და კადრში უნდა აღგვებეჭდა ფაქტები, როგორ ვითარდება სომხეთის სახელმწიფო, როგორ ცხოვრობს ხალხი და ა.შ. ჩემს პრობლემებზე ვიყავი ფოკუსირებული და ნამდვილად არ მიფიქრია რაიმე ცუდზე.

— როგორ გაგეცნოთ პაატა ცაავა, ვინ იყო მაშინ?

— მოძველბიჭო ტიპს უფრო ჰგავდა, მაგრამ მითხრა, რომ ბიზნესმენი იყო... პაატამ მითხრა, რომ სამ დღეში უნდა წავსულიყავით, მაგრამ წასვლის დრო გაიწელა. ჩემი პრობლემის შესახებ პაატა ცაავა საქმის კურსში ჩავაყენე და ავუხსენი, თუკი პოლიციაში ფულის მიტანას დავაგვიანებდი, თანხა გაორმაგდებოდა, თან იყო ცაავას ასეთი პირობა, რომ მე დამონტაჟებული კასეტა უნდა მიმეცა მისთვის, რის შემდეგაც გადამიხდიდა გასამჯელოს. ამასობაში ჩვენი წასვლის დრო ძალიან გაიწელა, პაატამ მითხრა, რომ ფულს ელოდებოდა, ამასობაში ძალიან დამიახლოვდა, ჩემს ოჯახში ამოვიდა, დედაჩემი გაიცნო, მეგრულად საუბრობდნენ და ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. პაატამ დედაჩემი დაამშვიდა, არაფერი არ ინერვიულოთ, თქვენს შვილსაც გამოვიყვანთ, სერიოზულ დოკუმენტურ ფილმს ვაკეთებთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. წავედით სომხეთში. შევედით რესტორანში სავახშმოდ, შემახვედრა ვიღაც სომეხ ჟურნალისტს, ალბათ, რომ დავრწმუნებულიყავი, რამდენად სერიოზულ ფილმს ვიღებდი სომხეთზე და მეორე დღეს მეუბნება: ილია, ახლა ჩვენ მივდივართ ყარაბაღში. ეს ის პერიოდია, როცა ყარაბაღში ომია და მახსოვს, ძალიან გამიკვირდა, რადგან ჩვენს გეგმებში ეს არ შედიოდა. გადავედით ყარაბაღში. დაგვაბინავეს ერთ-ერთ დაბომბილ ძველ სასტუმროში და იმავე ღამეს პაატა ცაავას ვეკითხები, — აქ რა უნდა გავაკეთოთ? პაატა მპასუხობს, — ჩვენ უნდა შევიდეთ ციხეებში და უნდა გადავიღოთ აზერბაიჯანელი პატიმრები და მათგან ინტერვიუები უნდა აიღოო. კონკრეტულად კი უნდა მეკითხა, როგორ ექცევიან სომხები აზერბაიჯანელ პატიმრებს, რა პრობლემები აქვთ და ა.შ ვიყავით სამ ქალაქში: შუშა, აგდამი, ფიზული და პატიმრები იქ გადავიღეთ. რომ ჩამოვედით, პაატა მეუბნება, — დაუმონტაჟებელი მასალა მომეციო. კასეტა მივეცი იმ პირობით, რომ მეორე დღესვე დააბრუნებდა. მას მერე გაქრა პაატა ცაავა ჩემი ცხოვრებიდან. მისი ძებნა დავიწყე, სამწუხაროდ, არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა. არ დაუმალავს, რომ სენაკიდან იყო. პოლიციელებისთვის ფულის მიტანის ვადა იწურებოდა... როგორც იქნა, მივაგენი ცაავას, შეშინებული ჩანდა... მე მას ჩემი სიცოცხლე ვანდე, მან კი მომატყუა. ყარაბაღიდან რომ ჩამოვედით, მივხვდი, რომ ცაავა აზერბაიჯანის უშიშროებასთან იყო შეკრული...

— მერე?

— იგი მიხვდა, რომ მისი გამშვები აღარ ვიყავი და აღარც ცდილობდა ჩემგან გაქცევას, მაწყნარებდა, მალე ანაზღაურებას მიიღებო... მახსოვს, მითხრა, საცოლე მყავს, რაღაც პრობლემები მაქვს მასთან, ავჭალაში ცხოვრობს და გამომყევიო. დავთანხმე. ის გოგო პირადად არ მინახავს, პაატა იმ გოგოს სახლში მარტო ავიდა, თუმცა დღესაც თვალდახუჭული მივაგნებ იმ კორპუსს, რადგან ჩემდა უნებურად დავიმახსოვრე, პაატას აღარ ვენდობოდი და მაქსიმალურად ვცდილობდი მის ირგვლივ ყველა ინფორმაციის მოძიებას. პოლიციელებმა დამიმატეს სამი დღე ფულის მისატანად. ცაავას უკვე ძალიან მკაცრად მოვთხოვე, აეხსნა რა ხდებოდა და თუ გასამჯელოს არ მომიტანდა... ცემით დავემუქრე. ცაავა შეშინდა, ჩამსვა მანქანაში და მითხრა, წავედით, ოღონდ არა სომხეთში, არამედ აზერბაიჯანშიო... გზაში ვეკითხები, რატომ მივდივართ აზერბაიჯანში, როცა ფილმი გადავიღეთ სომხეთში. ის მეუბნება, რომ ამ ფილმის დამკვეთი იყო აზერბაიჯანული მხარე, მაშინ ხმას ავუწიე, ამიხსენი, რა შარში გამაყოფინე თავი-მეთქი... მანქანაში მხოლოდ ორნი ვიყავით, გავთვალე, რომ შეიძლება მისი მხრიდან ინციდენტი მომხდარიყო და მეგობარი არ წამიყვანია, ვიფიქრე, მისი ოჯახიც არ გავაუბედურო, თუ შარი მიწერია, მე შევწირავ თავს-თქო. ვკითხე, რატომ ენდობი აზერბაიჯანის უშიშროებას, რომ გადავალთ აზერბაიჯანის საზღვარზე, საფრთხე არ დაგვემუქრება-მეთქი?!. მოვთხოვე, ეჩვენებინა ჩემ მიერ გადაღებული კასეტა და მითხრა, რომ მასალა უკვე აზერბაიჯანის უშიშროების ხელში იყო... მანქანა გავაჩერებინე, ვუთხარი, გადმოსულიყო და დაწვრილებით მოეყოლა, რაში დასჭირდა აზერბაიჯანის უშიშროებას ეს მასალა და რა იყო მასალის დანიშნულება. მინდა მთელი ინფორმაცია თქვას, სანამ საზღვარზე გადავალთ. პაატა მეუბნება, — მე ვერ გეტყოდი, რა დანიშნულებით მივდიოდით ყარაბაღში, რადგან შეიძლება ისე დავემარხეთ, პატრონიც ვერ გვიპოვიდა, შენთან ერთად მეც გავრისკე, მეც ფული მჭირდებოდაო. თურმე რა ყოფილა... აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი რომ მიდიოდა, ჯარისკაცების ნაწილი გარდაიცვალა და ნაწილი დაიკარგა. როგორც პაატა ცაავამ მითხრა, აზერბაიჯანის უშიშროებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მათი ჯარისკაცები ციხეში ისხდნენ, მაგრამ ამ ინფორმაციის ფაქტობრივი დამადასტურებელი მასალა არ გააჩნდა. აზერბაიჯანული უშიშროების ჩანაფიქრი იყო ის, რომ ნეიტრალური მხარე — საქართველოს წარმომადგენელი გადაიღებდა ვითომ დოკუმენტურ ფილმს სომხებზე, რეალურად რაც მე ვნახე, ცაავას სომხეთთანაც ჰქონდა საქმე მოგვარებული, სხვა შემთხვევაში უფლებას არავინ მოგვცემდა, აზერბაიჯანელი პატიმრები გადაგვეღო. მოკლედ, კასეტაზე აღიბეჭდებოდა ყველა აზერბაიჯანელი პატიმრის სახე, ამ მასალას აჩვენებდა აზერბაიჯანის ხელისუფლება მათ მშობლებს და აზერბაიჯანული მხარე საკუთარ მოსახლეობას დაუმტკიცებდა, რომ მათი უშიშროება კარგად მუშაობს... აზერბაიჯანში 40 წლის მამაკაცი დაგვხვდა, პაატამ მითხრა, ეს ადამიანი აზერბაიჯანის უშიშროების თანამშრომელიაო. მოვთხოვე, მითარგმნე, რაზე საუბრობთ-მეთქი. მითხრა, ფული მალე იქნებაო... დავრწმუნდი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართალს მეუბნებოდა და რომ ფული მართლა აზერბაიჯანულ მხარეს უნდა გადაეცა მისთვის. საკუთარი თვალით დამანახა და საკუთარი ყურით მომასმენინა, რომ მას აფინანსებდა აზერბაიჯანის უშიშროება. პაატას ვუთხარი, რომ დრო აღარ მრჩებოდა, ფულის გამოგზავნას ვეღარ დაველოდებოდი. ამ დროს მთავაზობს, — მოდი, შენი ბინა გავყიდოთ, ჩემს ნათესავს უნდა ბინის ყიდვა, კლიენტის მოძებნაში დრო აღარ დაგეხარჯება, ხოლო როგორც კი ფულს მომცემენ, დაგიმატებ და კარგი ბინა ვიყიდოთო. სხვა გამოსავალი არ იყო და მას რომ არ შეეთავაზებინა, საბოლოო ჯამში, მაინც ამის გაკეთებას ვაპირებდი, ჩემს პატარა ძმას ციხეში არ დავტოვებდი. ვარკეთილში გვქონდა სამოთახიანი გარემონტებული ბინა. მოგეხსენებათ, ამ უბანში მაშინ ბინების ფასი მერყეობდა 2700-3000 დოლარის ფარგლებში და პაატა ცაავამ ისე მოახერხა, რომ თავის ნათესავზე ეს ბინა მიმაყიდვინა 1600 დოლარად, დანარჩენი 400 დოლარი მეზობლებში ავაგროვე და ჩემი ძმა ციხიდან დავიხსენი. ამის შემდეგ დაველოდე, როდის მომცემდა ჩემს კუთვნილ ფულს პაატა ცაავა, ოჯახს მხოლოდ ეს ერთი ბინა გვქონდა... პაატა ცაავას წყალობით, აგერ უკვე 24 წელია, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ...

— რატომ გაგიჭირდათ პაატა ცაავას მოძებნა?

— მართალი გითხრათ, ძებნა არ შემიწყვეტია. პლეხანოვზე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. ერთხელაც, ვხედავ, პაატა ცაავა მოდის მანქანით, გადავუდექი, გადმოვიყვანე მანქანიდან და მოვთხოვე პასუხი, სად იყო ამდენი ხანი... მითხრა, დედაჩემი იყო ცუდადო... კვლავ ხელიდან დამისხლტა. შემდეგ ტელევიზიიდან შეერთებულ შტატებში მომიწია წასვლამ ფილმის გადასაღებად, დავბრუნდი და კონცენტრირებული ვიყავი იმაზე, როგორ გამოვსულიყავით მდგომარეობიდან... დედაჩემს არ უკადრებია პოლიციაში მისვლა და ცაავაზე საჩივრის დაწერა. დრო რომ გავიდა, ახლობელმა მითხრა, რომ ცაავამ ფულში გადააგდო. ეს ქალაქი პატარაა, არაფერი იმალება და თაღლითები უცბად იშიფრებიან. მოკლედ, პაატა ცაავას თბილისში თაღლითის სახელი ჰქონდა.

— რატომ არ დააწერინეთ ცაავას ხელწერილი, რომ თქვენი ვალი ჰქონდა და უნდა გაესტუმრებინა?

— ხელწერილი რომ დაეწერა, მერე რა?!. რა აზრი ჰქონდა, მაინც არ გადაიხდიდა... მახსოვს, 2004-2005 წელი იყო, მხვდება პატრიარქის პირადი მდივანი შორენა თეთრუაშვილი. მან იცის ჩემი დამოკიდებულება პატრიარქისადმი და მეუბნება, — ახლა ჩამოდის ამერიკის მიტროპოლიტი და პატრიარქთან ერთად შენც წამოდიო... რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მარშრუტიც მითხრა, რომ მივდიოდი ტაბახმელაში და მერე ბოდბეში. ტაბახმელაში იმართებოდა კონფერენცია და ვიღებდი... შესვენებისას მამა დემეტრეს ვესაუბრები, ამ დროს ვიღაცა მხარზე ხელს მადებს, ავხედე და ვხედავ ანაფორაში გამოწყობილ პაატა ცაავას... ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, გაკვირვებულმა ვკითხე, — პაატა, შენ ხარ?!. მახსოვს, მაშინ მამა დემეტრემ მითხრა, — ილია, მეუფეს როგორ ელაპარაკებიო... მამა დემეტრე დაიხარა და თაყვანი სცა მეუფეს, როგორც ხდება ხოლმე... მამა დემეტრემ ეს ამბავი არ იცოდა. ამ ამბის მოყოლას აზრი არ ჰქონდა და არც არაფერი მითქვამს. პაატა ცაავას ვუთხარი, ტელეფონის ნომერი მომეცი, შევხვდეთ და დავილაპარაკოთ, სალაპარაკო ბევრი გვაქვს-მეთქი. ამ ნომერზე დავრეკე და როგორც ჩანს, მეუფემ არასწორი ნომერი მომცა. მოგვიანებით, მეგობრებმა გამაფრთხილეს, მეუფე პეტრეს „ნაცმოძრაობის" გავლენიანი ფიგურები მფარველობენ, სააკაშვილის შვილის ნათლიაა და ფრთხილად იყავი, რამე არ გაგიჩალიჩონო... ბოლოს შევხვდი 2009 წელს, გასვენებაში, ჯიპით მოვიდა, ტელეფონის ნომერი ისევ გამოვართვი, მას შემდეგ რამდენჯერმე დავურეკე და არ მიპასუხა...

— პატრიარქს ეს ამბავი არ მოუყვევით?

— პატრიარქს რამდენიმე დღის წინაც შევხვდი, ვისაუბრეთ, მაგრამ არასოდეს ჩამითვლია საჭიროდ, ამ თემაზე მესაუბრა, ეს ამბავი რომ მომეყოლა, ამით პატრიარქს გულს ვატკენდი, რადგან მისი ხელდასხმულია პაატა ცაავა ეპისკოპოსად... ვიღაცამ პატრიარქი შეცდომაში შეიყვანა, როცა ცაავა ეპისკოპოსად აკურთხა.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ძალიან დიდი ხმაური ატყდება, ასევე, მზად იყავით იმისთვის, რომ პირადად თქვენზე ზეწოლა განხორციელდება. ასევე, მე ვარ მზად, რომ როგორმე გავუმკლავდე შემოტევებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეიძლება პაატა ცაავამ კრიმინალური სამყარო გამომიგზავნოს, ამისთვისაც მზად ვარ... თავისთავად, პაატა ცაავა ყველაფერზე უარს იტყვის, მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით მოგიყვევით და თქვენი გაზეთით ვაცხადებ — დღემდე მაქვს ეჭვი, რომ პაატა ცაავა არის უშიშროების კადრი. უშიშროება მაშინ ცდილობდა, ყველა ეკლესიაში ჩანერგილი ადამიანი ჰყოლოდა და სავარაუდოდ, მათ შორის იყო პაატა ცაავა. მის ისტორიას რომ გადახედოთ, როგორ გახდა ეპისკოპოსი, აუცილებლად გაჩნდება ეჭვი, რადგან სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ძალიან მოკლე დროში გახდა ეპისკოპოსი. 24 წელი გავიდა და ემოციის ბოლო ნაპერწკალი ჩაქრა...

განსაკუთრებით ბოლო შვიდი წელია ველოდები ამ დღეს, როდის მოვა პაატა ცაავა ჩემთან. ის ხომ ჩვენი სინოდის წევრია, ის ხომ ეპისკოპოსია. რეალურად კი ცაავა არის თაღლითი. ერთმა მამამ მითხრა, მას ისეთი სტატუსი აქვს, ნუ განიკითხავო... მე მას ვუთხარი, — ნუ გეშლებათ, მამაო, მხილებასა და განკითხვას შორის არის დიდი სხვაობა, როცა ფარისეველს ამხელ, ეს არის მხილება და არა განკითხვა..

ილორი

საქართველოსთვის აქტუალური სამი საკითხის შესახებ

პატივცემულო მკითხველო! თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმ სამ საკითხს, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ხელისუფლებისგან მათდამი ცხოველი ინტერესის გამოვლინებას მოითხოვს. ამ თემებზე არაერთი სტატიაა გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში, გადაცემებიც არის მიძღვნილი ტელეეთერში, მაგრამ მიუხედავად ამისა ურიგო არ იქნებოდა კიდევ ერთხელ თვალი შეგვევლო მათთვის, ვინაიდან დღევანდელი პოლიტიკური ვითარება გვიკარნახებს ამას.

პირველი – ნატოში გაწევრების თემაა და მუდმივი მტკიცება იმისა, რომ საქართველომ ხმათა უმრავლესობით - გამოკითხვის მიხედვით, ეს საკითხი რახანია დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

გახსოვთ ალბათ 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და საარჩევნო ბიულეტენებში დაფიქსირებული ნატოში შესვლის საკითხი. 2008 წლის დასაწყისში ჩატარებულ არჩევნებს შიდაპოლიტიკური დაპირისპირება ედო საფუძვლად. მაშინდელმა „ნაცურმა“ ხელისუფლებამ, არაადამიანური მართვის შედეგად, ისე დაძაბა ვითარება, რომ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ქუჩაში გამოსული ხალხის დასამშვიდებლად ერთადერთი გზა დარჩა – ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

ასეთი დასკვნა გააკეთა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის იმ პოლიტიკურმა გუნდმა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების პულსზე ედო ხელი. მაშინ გარკვეული აქტიურობით გამოირჩეოდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელე მეთიუ ბრაიზა – სააკაშვილთან დაახლოებული პირი. მან და სახელმწიფო დეპარტამენტელმა კურატორებმა არა მარტო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხი განიხილეს სააკაშვილთან, არამედ ნატოში საქართველოს გაწევრების თემის საჯაროდ გამოტანაც.

ამერიკელი მრჩევლები დარწმუნებული იყვნენ სააკაშვილის გამარჯვებაში, ისე, როგორც ხალხის მხრიდან ნატოს საკითხისთვის მხარდაჭერაში. ასეც მოხდა – სააკაშვილმაც გაიმარჯვა და ნატოში შესვლის საკითხმაც, მაგრამ ორივემ გარკვეული ხინჯი დატოვა ქართველი ამომრჩევლის გულში. მაინც რა ხინჯს ვგულისხმობ?

სერიოზულ გაჟალბებას, რასაც ადგილი ჰქონდა. ხელისუფლებამ უხვად გამოიყენა ადმინისტრაციული საშუალებები და როგორც ამბობენ, დამარცხებულმა სააკაშვილმა გამარჯვება იზეიმა.

ყოველივე აღნიშნულს ისიც ამტკიცებს, რომ არჩევნების დასრულებისთანავე, მაშინ, როდესაც ბიულეტენები დათვლილიც არ იყო, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა გამარჯვება მიულოცა სააკაშვილს, რითაც თავისთავად გადაწყვიტა პრეზიდენტობისთვის მებრძოლ კანდიდატთა შორის ერთ-ერთის (ს

ნიკოლოზ ბარათაშვილის უცნობი ნახატი, რომელიც ქურთ მხატვარს ეკუთვნის

თბილისში მცხოვრები მარინა გურგენიძე უმდიდრესი კოლექციის მფლობელია... მის კოლექციაშია დიდი მხატვრების ნამუშევრების ორიგინალები, ნიკოლოზ მეორის ნაქონი ლარნაკი, კილონახევრიანი ვერცხლის შანდლები, პაველ ბურეს მიერ შექმნილი საათი და სხვა უნიკალური ნივთები... ამჯერად, მარინა გურგენიძე ქურთი მხატვრის – ჟორა ხალატოვის მიერ დახატულ ნამუშევარზე გვესაუბრება... ჟორა ხალატოვს დახატული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხვედრა თბილისელ ქურთებთან და მარინა გურგენიძემ ეს ნახატი თბილისის ერთ-ერთი ოჯახიდან შეიძინა.

მარინა გურგენიძე, კოლექციონერი: "მოგეხსენებათ, მსოფლიოში უიშვიათესი შემთხვევაა ეროვნებით ქურთი მხატვარი. გიორგი (ჟორა) ხალატოვი დაიბადა 1922 წელს თბილისში. გარდაიცვალა 80-იან წლებში. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან, ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მხატვარ-რესტავრატორად მუშაობდა. სამხატვრო აკადემიას ჟორა ხალატოვმა და ალექსანდრე ციმაკურიძემ ერთად გაუკეთეს რესტავრაცია. ასევე, ხალატოვმა რესტავრაცია გაუკეთა ბათუმის დრამატული თეატრის ფოიეებს და მაყურებელთა დარბაზის მხატვრული გაფორმებაც მისი ნახელავია. ბათუმის ცენტრში თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდებარეობს ძველი კაფე, რომელიც მთლიანად რესტავრირებულია ჟორა ხალატოვის მიერ. კაფეში კედელზე ამოტვიფრულია რესტავრირების წელი და მისი სახელი და გვარი...

ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში არსებობს ჟორა ხალატოვის ორი ნამუშევარი... მუზეუმის თანამშრომელმა მითხრა, რომ საპრეზიდენტო რეზიდენდიაში პირველ სართულზეც იყო ჟორა ხალატოვის მიერ შექმნილი კაფე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დაანგრიესო... მუზეუმის თანამშრომლები ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ ამ ამბავს... ხალატოვი ბერიამ წაიყვანა მოსკოვში და ძოწის დარბაზის რესტავრაცია გააკეთებინა. ჟორა ხალატოვს ბევრი ნამუშევარი არ შეუქმნია. აქვს ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც ჩემს კოლექციაშია. შეძენილი მაქვს თბილისში, ერთ-ერთი ოჯახისგან. ნამუშევარი ტილოზეა შესრულებული (ტ/ზ) – 2მx1,5მ, სადაც გამოსახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბრუნება პეტერბურგიდან და თბილისელი ქურთების დახვედრა. ეს სიუჟეტი ერთგვარად გამოხატავს, თუ როგორი თბილი და მეგობრული დამოკიდებულება იყო ქართველებსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის.

წელს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლის იუბილე.

კარგი საქმე გაკეთდება, თუ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტრო ან თბილისის მერია შეიძენს ჟორა ხალატოვის ნამუშევარს და გადასცემს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

გია ბუღაძე, მხატვარი: "ჟორა ხალატოვი შორიდან მახსოვს, ძალიან საინტერესო და კოლორიტული პიროვნება იყო. მას ეკუთვნის თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია... უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რესტავრატორის, მისი ნამუშევარი ძალიან თამამი იყო. თავის თავიც კი ჩახატა, ისპაჰანის ხედიც, რაც არ იყო პირვანდელ ვარიანტში, ბევრი აღმოსავლური ელემენტები შეიტანა, რაც მისი ხედვა იყო... რესტავრაციაში სითამამე არ შეიძლება, მაგრამ იმდენად უნიკალურია მისი ნამუშევარი, ვფიქრობ ყოველთვის ხელუხლებლად უნდა დარჩეს, რადგან ესეც ისტორიაა... იმ პერიოდში არავინ არ იყო ამის გამკეთებელი და მისი მხრიდან ძალიან კეთილშობილური ნაბიჯი იყო, სამხატვრო აკადემიის რესტავრირება რომ მოახდინა.

მანანა გაბრიჯიძე

ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლო

ოცდამეერთე საუკუნეში ბუნების თითქმის ყველა საიდუმლო ამოხსნილია, მაგრამ მაინც რჩება "თეთრი წერტილები", რომელსაც მატერიალური ახსნა არ გააჩნია და თანამედროვე მეცნიერებაც ბევრს არაფერს ამბობს ამ იდუმალ მოვლენებზე, რათა საკუთარი უსუსურობა არ დაამტკიცოს!

ბერმუდის სამკუთხედი (ინგლ. Bermuda Triangle) – ატლანტის ოკეანის რაიონია, რომელიც მდებარეობს აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან და წააგავს სამკუთხედს.

ამ ადგილის წყლები ყოველთვის იყო ამოუხსნელი ამოცანა. უგზო-უკვლოდ უჩინარდება გემები და თვითმფრინავები, ზოგჯერ წყალქვეშა ნავები. ამ ადგილს უწოდეს **„ატლანტიკის სასაფლაო"**. ბერმუდის სამკუთხედში არის მრავალი პატარა კუნძული, რის შედეგადაც აქ ინტენსიურად არის განვითარებული მცირე კაბოტაჟური ნაოსნობა, ხოლო კლიმატური პირობები ტურისტული ბიზნესის გაფურჩქვნის ხელშემწყობი ფაქტორია. სამკუთხედი ცნობილი მხოლოდ 1840 წლიდან გახდა, როცა იქვე ახლოს იპოვეს ფრანგული აფრიანი გემი **„როზალინი"**. იქ ყველა აფრა ადგილზე და წესრიგში იყო, მაგრამ არ იყო ეკიპაჟის არცერთი წევრი.

ამ გაუჩინარებათა ასახსნელად, სხვადასხვა ჰიპოთეზების დასახელება ხდება, უჩვეულო ამინდის მოვლენებიდან უცხოპლანეტელთა მიერ მოტაცებებამდე. თუმცა, სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ბერმუდის სამკუთხედში გემების გაუჩინარებები არ ფიქსირდება იმაზე ხშირად, ვიდრე მსოფლიო ოკეანის სხვა რაიონებში და ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება. ამავე მოსაზრებას მხარს უჭერს აშშ-ის სანაპირო დაცვა და სადაზღვევო კომპანია Lloyd's.

აშშ-ის გეოგრაფიული სახელწოდებების საბჭოს თანახმად, ბერმუდის სამკუთხედი როგორც სახელწოდება არ არის აღიარებული და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მიხედვით, სამკუთხედი არ არსებობს. 2013 წელს ბუნების მსოფლიო ფონდმა მოახდინა 10 ყველაზე სახიფათო წყლის იდენტიფიცირება, რომელთა შორის ბერმუდის სამკუთხედი არ მოხვედრილა.

ქრისტეფორე კოლუმბი იყო პირველი მოგზაური, რომელმაც გაიარა სარაგოსის ზღვა და ბერმუდის სამკუთხედი 1492 წელს. მისი გემის – **"სანტა-მარიას"** ჟურნალი მოგვითხრობს კომპასის ისრის უცნაურ ქცევაზე, ცისა და ზღვის უჩვეულო ნათებაზე. ყოველი გაუგებარი მოვლენა მეზღვაურთა შორის იწვევდა შიშს. ამ უჩვეულო მოვლენების შესახებ ჭორი მალევე გავრცელდა მეზღვაურთა შორის და სულ მალე ატლანტიკის ამ რაიონმა შეიძინა უჩვეულო და საიდუმლო რეპუტაცია.

ბერმუდის სამკუთხედში **„საიდუმლო გაუჩინარებების"** შესახებ პირველად Associated Press-ის კორესპოდენტმა ჯონსმა ახსენა, 1950 წელს მან ამ რაიონს **„ეშმაკის ზღვა"** უწოდა. **„ბერმუდის სამკუთხედის"** შესიტყვების ავტორად, ჩვეულებრივ, ვინსენტ გადისი მიიჩნევა. მან 1964 წელს სპირიტიზმისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია **„მომაკვდინებელი ბერმუდის სამკუთხედი"**. XX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებების შესახებ.

1974 წელს, ჩარლზ ბერლიცმა გამოაქვეყნა წიგნი **„ბერმუდის სამკუთხედი"**, რომელშიც ამ რაიონში სხვადასხვა საიდუმლოებით მოცული გაუჩინარების აღწერები იყო შესული. წიგნი ბესტსელერი გახდა და სწორედ მისი გამოქვეყნების შემდეგ თეორიამ ბერმუდის სამკუთხედის უჩვეულო თვისებების შესახებ განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა. თუმცა, შემდგომში, გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთი ფაქტი ბერლიცის წიგნში არასწორად იყო გადმოცემული.

1975 წელს, ლოურენს დევიდ კუშემ გამოაქვეყნა წიგნი **„ბერმუდის სამკუთხედი: მითები და რეალობა"**, რომელშიც ის შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ არაფერი ზებუნებრივი და საიდუმლო ამ რაიონში არ ხდება. აღნიშნული წიგნი დაფუძნებულია დოკუმენტებისა და თვითმხილველებთან საუბრების მრავალწლიან კვლევებზე, რომლებმაც მრავალრიცხოვანი შეცდომა და უზუსტობა გამოავლინეს ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოს არსებობის მომხრეთა პუბლიკაციებში.

თეორიის მომხრეები უკანასკნელი 100 წლის მანძილზე დაახლოებით 100 მსხვილი საზღვაო და საჰაერო ხომალდის გაუჩინარების შესახებ საუბრობენ. გაუჩინარებათა გარდა, იტყობინებიან ეკიპაჟის მიერ წესიერ მდგომარეობაში მიტოვებული გემების, ასევე სხვა უჩვეულო მოვლენების შესახებ, როგორიცაა უეცარი გადაადგილებები სივრცეში, დროის ანომალიები და ა. შ. კუშემ და სხვა მკვლევარებმა აჩვენეს, რომ ამ შემთხვევებათაგან ზოგიერთი ბერმუდის სამკუთხედის საზღვრებს მიღმა მოხდა. ზოგიერთი შემთხვევის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვება ოფიციალურ წყაროებში ვერ მოხერხდა.

ბერმუდის სამკუთხედთან დაკავშირებით ხსენებად ყველაზე ცნობილ შემთხვევას წარმოადგენს **„ევენჯერის"** ტიპის ხუთი ბომბდაშენ-ტორპედოსანის რგოლის გაუჩინარება. ამ თვითმფრინავების აფრენა მოხდა 1945 წლის 5 დეკემბერს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზიდან ფორტ-ლოდერდეილში (ფლორიდა). ისინი უკან არ დაბრუნებულან. მათი ნამსხვრევები ჯერაც ვერ იპოვეს. ბერლიცის თანახმად, 14 გამოცდილი პილოტისგან შემდგარი ესკადრილია საიდუმლო მიზეზებით გაუჩინარდა ჩვეულებრივი ფრენის დროს ნათელ ამინდში მშვიდი ზღვის თავზე. ასევე ცნობილია, რომ ბაზასთან რადიოგადალაპარაკებებისას პილოტები თითქოს-და საუბრობდნენ სანავიგაციო მოწყობილობის აუხსნელი გაფუჭებისა და უჩვეულო ვიზუალური ეფექტების შესახებ – **„ჩვენ არ შეგვიძლია მიმართულების დადგენა, ოკეანე კი სრულიად სხვაგვარია და არ გამოიყურება ისე, როგორც ყოველთვის", „ჩვენ თეთრ წყლებში ვეშვებით", გარშემო თეთრი წყვდიადია, ვეღარაფერს ვხედავთ...**

კუშეს ვერსიით, სინამდვილეში ეს სამხედრო რგოლი შედგებოდა ახალბედა კურსანტებისგან, რომლებიც ასრულებდნენ საწვრთნელ ფრენას. გამოცდილი პილოტი იყო მხოლოდ მათი ინსტრუქტორი, ლეიტენანტი ტეილორი, მაგრამ ისიც სულ ახლახანს გადმოიყვანეს ფორტ-ლოდერდეილში, რის გამოც იგი ჯერ კარგად არ იცნობდა საფრენ რაიონს.

რადარების მიერ დაფიქსირებულ რადიოგადალაპარაკებებში არაფერია ნათქვამი რაიმე საიდუმლო მოვლენების შესახებ. ლეიტენანტმა ტეილორმა განაცხადა, რომ მან ორიენტირება დაკარგა და ორივე კომპასი გაუფუჭდა. საკუთარი ადგილმდებარეობის დადგენის მცდელობისას მან შეცდომით იფიქრა, რომ რგოლი ფლორიდა-კისის კუნძულების თავზე, ფლორიდისგან სამხრეთით იმყოფებოდა, ამიტომაც მას შესთავაზეს ორიენტაციის დადგენა მზის მიხედვით და საფრენი კურსის აღება ჩრდილოეთის მიმართულებით. შექმნილი სიტუაციის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ, შესაძლოა თვითმფრინავები იმყოფებოდნენ ბევრად აღმოსავლეთისკენ და, ეჭირათ რა ჩრდილოეთის კურსი, მოძრაობდნენ სანაპიროს პარალელურად.

რადიოკავშირის ცუდი პირობები (დაბრკოლებები სხვა რადიოსადგურებიდან) ხელს უშლიდნენ ესკადრილიის ზუსტი მდგომარეობის დადგენაში. რამდენიმე ხანში ტეილორმა გაფრენა დასავლეთის მხარეს გადაწყვიტა, მაგრამ სანაპიროს ვერ მიაღწია, რადგან თვითმფრინავებში საწვავი თავდებოდა. ევენჯერთა ეკიპაჟები იძულებულნი გახდნენ წყალზე ეცადათ დასხდომა. ამ დროისთვის უკვე დაბნელდა, ხოლო ზღვა, იმ რაიონში იმ დროს მყოფი გემების ეკიპაჟის თქმით, ძალზედ აბობოქრებული იყო. ევენჯერთა გაუჩინარების შემდეგ მათ საძებნად სხვა თვითმფრინავები გაგზავნეს და ერთ-ერთი მათგანი – ჰიდროთვითმფრინავი **„მარტინ მარინერი"** – ასევე უკვალოდ გაუჩინარდა. კუშეს მოსაზრებით, ასეთი ტიპის თვითმფრინავებს გარკვეული ნაკლოვანება გააჩნიათ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საწვავის ორთქლი კაბინაში აღწევს და საკმარისია ერთი ნაპერწკალი იმისთვის, რათა აფეთქება მოხდეს.

„გეინე მილსის" (Gaines Mills) ტანკერის კაპიტანმა განაცხადა, რომ იგი აფეთქებას და ნამსხვრევებს თვალს ადევნებდა, შემდეგ კი ზღვის ზედაპირზე ზეთის ლაქა აღმოაჩინა.

ბენია თხილავას – ქუთაისში!



ნაწარმოები – ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე მიმაჩნია, იმ მიმართულებას, რომელსაც ბატონი თამაზი ქმნის ქართულ ლიტერატურაში, ეწოდოს „სიბრძნე იუმორისა“ და მასში გაერთიანებული ნაწარმოებები ისევე იქნას განხილული, როგორც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ განიხილება“.

ყურადღების გამახვილება გვმართებს, ბენია, ეს სწავლული კაცი კიდევ რაღაც მშვენიერს ამბობს ჩემი მისამართით და არაფერი გამოგვრჩეს! – **„და კიდევ ერთი: იქნებ, იუმორის გზით სიბრძნის გადმოცემის ეს ფორმა თქვენ იმიტომ გამოიყენეთ, რომ ... ამქვეყნიური ცხოვრების აბსურდულობასა და ტრაგიკულობაზე კაფკას, კამიუს და სხვათა ენით ლაპარაკს, ისევ მსუბუქი, ღიმილნარევი გზა არჩიეთ და ამით მწარე სიმართლეც თქვით, მაგრამ ისე, რომ ადამიანები არ დათრგუნოთ და სასოწარკვეთაში არ ჩააგდოთ.**

იქნებ, ჩვენი დროის აბსურდულობის გამოხატვის ყველაზე სწორი გზა სწორედ ეს არის და მას სხვამ კი არა, ისევ ქართველმა მიაგნო?“

არა, ბენია მე ამ ფილოსოფიის დოქტორ კაცს ვერაფერი გამოვაპარე – მთელი ჩემი **„მუღამი“** ერთბაშად გახსნა!..

* * *

ახლა თქვენ მინდა მოგმართოთ, ჩემო კოლეგებო იუმორის ეროვნული აკადემიიდან!

ყოველმხრივ საინტერესოა ბატონი რეზო ბალანჩივაძის ეს წერილი: **„ყური უგდეთ ხალხის რჩეულებს, ღვთივკურთხეულ ადამიანებს!..“**

ჩვენი სწავლული მეცნიერი აქ საქართველოს ხელისფალთ სთავაზობს, მეტი ყურადღებით ითანამშრომლონ ჩემთან, თუ უნდათ, რომ ეს ჩვენი საწყალი ქვეყანა ნაადრევად არ დაამხონ!..

არა მარტო ურჩევს, ეხვეწება კიდეც ქვეყნის დღევანდელ ადმინისტრაციას! – **„მე, ჩემი მხრივ, მინდა შევახსენო ჩვენს პრეზიდენტს (როგორც ფილოსოფოსს, ეს მას აუცილებლად ეცოდინება): ძველ ბერძნებსაც ჰყავდათ მისანი, წინასწარმეტყველი – დელფოს ორაკული, რომელთანაც მიდიოდნენ მეფეები, სახელმწიფოს მეთაურები და მათ ბედზე ეკითხებოდნენ (ასე მივიდა, მაგალითად, მასთან ოიდიპოს მეფე). ღმერთმა ისე ინება,რომ ჩვენც გვყავს ჩვენი (ექსტრასენსები კი არა) ტვინით დაპენტილი „მისნები“ და „წინასწარმეტყველები“ (მათ შორის უპირველესი თამაზ წივწივაძე)“.**

ბრძენი კაცი ხარ, ბენია, შენც!..

სხვებზე ადრე რომ მიხვდი, ქართული იუმორის ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტად ზედგამოჭრილი კაცი რომ ვიყავი და, თავი კინაღამ მოიკალი, ვიდრე შენსას არ მიაღწიე!..

არადა, თურმე უჩემოდ თქვენი აკადემია კია არა, არც ჩვენი ქვეყანა ივარგებდა!..

მაინც, რამხელა კაცად მივაჩნივარ ამ დალოცვილს!..

არც კატეგორიულობას ერიდება, იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის პირველ პირებს ელაპარაკება! – **„გულწრფელად მინდა ვკითხო პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და სხვა მაღალჩინოსნებსაც, რატომ არ უგდებენ ყურს ბრძენკაცებს, ღვთივკურთხეულ ადამიანებს? ქვეყნის ბლომდე დაქცევას ელოდებით?!“**

ამას, ბენია, ქართული საზოგადოებისა და მადალი სამეცნიერო წრეების სახელით კითხულობს თავადაც სახელოვანი რეზო ბალანჩივაძე!..

რა ვქნა ახლა, ბენია, მე, როცა მსოფლიოში ჯერ არნახულ თანამდებობას მთავაზობენ – ვიყო ჩვენი **„ქვეყნის მთავარი ჭკუისდამრიგებელი“** და ყოველდღიურ რეჟიმში რჩევა ვაძლიო **„ძლიერთა ამა ქვეყნისათა?..**

ძველი რომის სენატის **„ცენზორის“** გარდა, არც ერთ ქვეყანას ამხელა მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე პიროვნება ჯერ არ ჰყოლია!..

დაილოცოს შენი სამართალი, ღმერთო!..

* * *

არადა, ბენია, მინდა თუ არა, ეს შემოთავაზება უნდა მივიღო – ისე ქართული იუმორის აკადემიას ვერ ავაღორძინებთ.

არ შეშინდეთ, ბატონებო! არ გეგონოთ, რომ ქრთამს ავიღებ და აკადემიას ისე გადავარჩენ!..

ქრთამი – ეს ერთადერთი რამ არის, რისიც არაფერი გამეგება! – სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ისეთ ღარიბ ოჯახში დავიბადე, ამის დიდი სურვილიც რომ გვქონოდა, ქრთამს არავინ შემოგვთავაზებდა!

მე კიდევ, ვინმეს რამე გამოვართვა კი არა, ჩემს უკანასკნელ პერანგს ვიხდი და გაჭირვებულ კაცს ხელს იმით ვუმართავ!..

მაგრამ, ბენია, რისი იმედი მაქვს, იცი?!

ეს ერთადერთი საგანი იქნება, რომლის სწავლაც მთავრობის წევრებს არ დასჭირდებათ – რაც მთავარია ყველაზე კარგად იციან, ეს ქრთამის აღებაა!

სხვა საგნებში კი ჩემი თავი ენაცვალოთ, ყველაფერს ხუთიანზე შვასწავლი!

მაგალითად, ისეთ რთულ დისციპლინასაც კი, როგორიც ქვეყნის მართვაა!..

ხოლო, რაც შეეხება ფუტუროლოგიურ ნიჭს, წინასწარმეტყველებას, ეს ღმერთმა მაჩუქა და ტვინში მაქვს ჩაჭედილი!..

ასე რომ, წინასწარ ვგრძნობ (კვირიკაშვილისაგან განსხვავებით!) – წელს **„ყველაზე მაგარი წელიწადი“** არ გვექნება!..

არც ეს პრეზიდენტის ინსტიტუტი იქნება ისე მდგრადი, როგორიც ახლა ჩვენს ნეფედედოფალს, გიორგი მარგველაშვილსა და მაკა ჩიჩუას ეჩვენება!..

მართალი გითხრათ, აღარც ჩვენი დიდდიდი პოლიტიკოსების მომავალი გამოიყურება უკეთეს ფერებში – იქაც თალხი უფრო ჭარბობს!..

მეტსაც გეტყვით! თუ ეს ხელისუფლება ჭკუაზე მალე არ მოვიდა, მე ამათთვის, ჭკუის დარიგების ნაცვლად, **„პერედაჩის“** დარიგება დამჭირდება **„მატროსოვის“** ციხეში!..

* * *

მეც ბედი მქონია, რაღა ბენია! მაინცდამაინც ასეთ დროს მიწვევენ **„ქვეყნის მთავარ ჭკუისდამრიგებლად!..“**

* * *

ღმერთო! რატომ დედა და მამა აღარ მყავს ცოცხალი!..

ისინი იმ დროს დამეხოცნენ, როცა ქვეყნის მმართველობას მანდობდნენ კი არა, სახლში მარტო ვერ მტოვებდნენ – ცეცხლი არ გააჩინოსო!..

ახლა კიდევ, ჩემს გარდა, კაცი არ დარჩა ქვეყანაზე, ამ ხელისუფლებას ჭკუა დაარიგოს!..

ძვირფასო საზოგადოებრივო ორგანიზაციებო, ქართულო სამეცნიერო წრეებო და, განსაკუთრებით, თქვენ მინდა მოგმართოთ, ბატონო რეზო ბალანჩივაძევ!

როგორც რესპოდენტები ამზადებენ აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად, თავდაპირველად მეც ასევე ვაპირებდი თქვენი დავალების შესრულებას და ყოველმხრივ მზად ვიყავი საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გადასამზადებლად!..

არა მგონია, ეს იოლი საქმე ყოფილიყოს, მით უმეტეს, მარგველაშვილისა, რომელიც თავისი უჯიათი საქციელიდან გამომდინარე, უფრო ხშირად, როგორც დიდი რუსთაველი იტყოდა: **“უცილობლობს ვითა ჯორი!..“**

მით უფრო, ბატონი კვირიკაშვილის ფონზე – ეს კაიკაცი ხომ **„ბულკზე“** გადასმული კარაქივით არი – რბილია და გემრიელი!

მაგრამ არა მგონია, ამ გადამზადებამაც საქმეს უშველოს – ქვეყნის მმართველობის სისტემაა თავიდან ბოლომე შესაცვლელი!

ძვირფასო ბატონო რეზო ბალანჩივაძევ! თქვენ სწავლული მეცნიერი ბრძანდებით და იცით, მმართველობის თვალსაზრისით ქვეყნები სამ კატეგორიად იყოფა! – არის ქვეყნები, სადაც სულელები ლაპარაკობენ და საქმეს ჭკვიანები წყვეტენ! – ეს, ასე თუ ისე, ნორმალური მდგომარეობაა!.

ისეთი ქვეყნებიც არის, სადაც პირიქით ხდება: ჭკვიანები ლაპარაკობენ და საქმეს სულელები წყვეტენ! – ეს ანომალიაა!..

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სულელები თან ლაპარაკობენ – პარლამენტში! და საქმესაც ესენი წყვეტენ – მთავრობაში!

დიდი ბოდიში ბატონო რეზო, მაგრამ მე ასეთი **„ქვეყნის მთავარ ჭკუისდამრიგებლად“** ვერ გამოვდგები!..

თუმცა, ყურადღებით თუ წაიკითხავენ, ჭკვიანი ხელისუფალნი რაღაცას ამ წერილიდანაც ისწავლიან!

„ლიტერატურული საქართველო“
10 თებერვალი 2017 წელი
თამაზ წივწივაძე

P.S. ბატონ ბენია თხილავას!

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა მადლობა მოგიძღვნათ იმ დიდი ნდობისათვის, რაც გამოიხატა იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად ჩემს არჩევაში.

თქვენ გამოჩნდით მაშინ, როცა ხალხს სიცილი დაავიწყდა, როცა დაიხურა ქვეყნის მთავარი სატირულ-იუმორისტული ჟურნალი “ნიანგი”, რომლის კედლებში არაერთი ღირსეული შემოქმედი აღზრდილა. და როცა ხალხი შეეგუა იმ აზრს, რომ იუმორი საბოლოოდ ჩაიმარხა ტოტალური გაჭირვების ჯურღმულებში, სწორედ მაშინ გაისმა თქვენი ომახიანი სიცილი ქუთაისიდან. დიახ, იმ ქუთაისიდან, რომელიც სიცილის შემოქმედი გახლდათ ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე ჟამსაც კი.

არ დამავიწყდება, როგორ იცინოდნენ ქუთაისელები ბრეჟნევის ეპოქაში, როცა ქვეყანა ისე გაღარიბდა, რომ თბილისში ერთ სულ მოსახლეზე თვეში ნახევარ კილო კარაქს არიგებდნენ ტალონებით. ვიღაც ჭკვიანმა მაშინ გადაწყვიტა, რომ ქუთაისიც არ დაეტოვებინათ უყურადღებოდ და ერთ სულ მოსახლეს 100 გრამი კარაქი უწილადეს.

– კი მაგრამ, ეს სადაური სამართალია, თბილისელებს ნახევარ კილოს რომ აძლევენ, ჩვენ კი 100 გრამს! – აღშფოთდნენ ქუთაისლები.

– მაგ კარაქს საჭმელად კი არ გაძლევთ, – აუხსნეს ქუთათურებს, – ქუთაისი ქარიანი ქალაქია და ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, უნდა წაისვათ!

შეიძლება ნაღვლიანი იუმორია, მაგრამ მაშინ, როცა საკვები პროდუქტები დეფიციტს წარმოადგენდა, ხალხი სწორედ ჯანმრთელი ქუთათური იუმორით ილამაზებდა ყოფას.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას, ბატონო ბენია, ამ საპატიო ჯილდოსათვის, რომელიც კიდევ უფრო დასაფასებელია იმიტომ, რომ მოგვიწევს ქართული სიტყვის ჭეშმარიტ დიდოსტატ ბატონ თამაზ წივწივაძესთან ერთად დგომა და ბრძოლა იმ გადაჯიშებული არამზადების წინააღმდეგ, ლამის სიცილს რომ გადააჩვიეს მუდამ ხალისიანი ქართველი ხალხი!

მიხარია, რომ კვლავ ჩემი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის ალექსანდრე შენგელიას გვერდით მომიწევს შრომა!

მიხარია, რომ თქვენთან ერთად შევუდგები ქართული ძარღვიანი იუმორის გადარჩენის გზების ძებნას!

უღრმესი პატივისცემით,

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი

ᲐᲕᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲛᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში შს სამინისტრო ცვლილებებს გეგმავს. ამისთვის პარლამენტში სპეციალური კანონპროექტიც შევიდა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ პროექტი განსახილველად მომავალ პარლამენტს დაუტოვა.

ამასთან, მთავრობამ უკვე დაამტკიცა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც გზებზე არსებული პრობლემების, მათ შორის ერთი და იმავე მონაკვეთზე მომხდარი ავარიების საკითხების მოგვარებაზე იმუშავებს. თუმცა, სანამ აღნიშნული სტრატეგია ამუშავდება, მანამდე პრობლემები, რომლებიც გზებზე რჩება და ავარიებსაც იწვევს, კვლავ საპატრულო პოლიციისა და კეთილსინდისიერი მძღოლების მხრებზეა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ბოლო დროს საზოგადოებაში აქტიურად საუბრობენ, ეხება საგზაო კამერებს – რომ ისინი გაუმართავია და შესაბამისად, მძღოლები გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობენ.

რას მოიცავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სტრატეგია, როდიდან ამუშავდება ის და მანამდე რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს შსს – აღნიშნულ საკითხებზე AMBEBI.GE **შს მინისტრის მოადგილეს შალვა ხუციშვილს ესაუბრა.**

მთავრობის მიერ ახლახან დამტკიცდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მოიცავს ყველაფერს: როგორ უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა, ავტოპარკის მიმართულებით როგორია მთავრობის ხედვა, მის გაჯანსაღებასთან დაკავშირებით. ჩვენი კანონპროექტი მხოლოდ ერთი ნაწილია ამ სტრატეგიისა, ანუ ეხება რეგულაციებს, ადმინისტრირებას და ა.შ. ახლა იქმნება უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელმაც ეს სტრატეგია უნდა აამუშავოს. ამ კომისიის ფორმირება რეალურად ახლა მიმდინარეობს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ეს იყო, რომ აქამდე, წლების განმავლობაში, არ არსებობდა პასუხისმგებელი უწყება, რომელიც დაარეგულირებდა ამ ყველაფერს, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი იმაზე თუ რა ხდება გზებზე, ინფრასტრუქტურის ნაწილში, საგზაო ნიშნების მხრივ და მათ შორის უსაფრთხოებაზეც. ახლა ეს პრობლემა გადაწყდა, იმიტომ რომ ამ სტრატეგიის მიღების შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო განისაზღვრა წამყვან უწყებად. შსს არის უწყებათაშორის ჯგუფში და ადმინისტრირებაზე ვართ პასუხისმგებელი, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო გზებს ვერ დააგებს და ამას ვერ დაგეგმავს, მაგრამ აკონტროლებს წესების შესრულებას. პრობლემა, რომელიც წლებია არსებობდა, ნაწილობრივ გადაიჭრა, თუმცა წინ დიდი სამუშაოა, იმისთვის რომ ეს სტრატეგია ამოქმედდეს.

– ანუ სანამ უწყებათაშორისი კომისია არ შეიკრიბება და ღონისძიებებს არ დაგეგმავს, მანამდე აღნიშნული სტრატეგია არ ხორციელდება?

– ამ ეტაპზე მიმდინარეობს უწყებათაშორისი კომისიის დაკომპლექტება. სტრატეგიიდან გამომდინარე, ყველა უწყებას ექნება თავისი ამოცანა. როგორც კი კომისია დაკომპლექტდება, სტრატეგიაც ძალიან მალე ამოქმედდება.

– რამდენი ხანი მუშავდებოდა ეს სტრატეგია?

– ეს სტრატეგია თითქმის ორ წელზე მეტი მუშავდებოდა. მის შემუშავებაში ჩართული იყო საერთაშორისო ორგანიზაციები და ძალიან ბევრი უცხოელი ექსპერტი. საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია. მთავარი უწყება იქნება ეკონომიკის სამინისტრო. ტექდათვალიერების, საგზაო ინფრასტრუქტურის თემები, რეგულაციებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები მათი პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება და ასევე მათ ექნებათ კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რადგან დღეს საქართველოში ყველა თვითმმართველობას, თავად შეუძლია საგზაო ნიშნების განთავსება და რეგულაციების დადგენა, რაც ასევე დიდ პრობლემას ქმნის, რადგან ჩვენი მონაცემებით ზოგან საგზაო ნიშნები არასწორადაა განთავსებული, მათ შორის თბილისში.

წლის ბოლოსთვის შსს-ს ექნება საქართველოს მასშტაბით ყველა საგზაო ნიშნის მონაცემი, რამდენად სწორადაა ის განთავსებული და გვექნება საერთო სურათი. ამის შემდეგ მოხდება დაწვრილებითი შედარება იმ წერტილებთან, სადაც ყველაზე ხშირად ხდება ავარია და ამის მიხედვით იქნება რეკომენდაციები შემუშავებული.

– რამდენიმე თვის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ყოველწლიურად 600-მდე ადამიანი იღუპება. რა კეთდება საიმისოდ, რომ ავარიებისა და შესაბამისად, მსხვერპლის რიცხვი შემცირდეს? იქნება ეს გაძლიერებული პატრულირება, თუ კიდევ სხვა სახის ღონისძიებები, მით უფრო რომ მალე ზაფხულის სეზონი დადგება და ავტობანზე ავტომანქანების ნაკადი გაიზრდება.

– ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ევროკავშირში ამ მხრივ, თუ მონაცემები არ შეცვლილა, აქვს ლატვიას და მათზე 1,5-ჯერ ცუდი მონაცემები გვაქვს ჩვენ, თუ მეტი არა. ევროპას რომ არ შევედაროთ და პოსტსაბჭოთა სივრცეზე რომ ვისაუბროთ, აქაც სამეულში შევდივართ. ეს სამწუხაროდ არის ჩვენი რეალობა. რაც შეეხება იმას, თუ რა კეთდება – პირველ რიგში საპატრულო პოლიციას გამკაცრებული აქვს ადმინისტრირება, რაც რამდენიმე მიმართულებით გამოიხატება. ერთი არის თვითონ გზებზე უფრო მეტი კონტროლი და არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე დისკრეციის ფარგლებში მკაცრი რეაგირება. გარდა ამისა, ნასვამობაზე ადრე უფრო ხშირად იყენებდნენ მართვის მოწმობის ჩამორთმევის ჯარიმით შეცვლის დისკრეციას. ახლა კი ამ მიმართულებითაც უფრო მკაცრი კონტროლია.

გარდა ამისა, ჩვენ პარლამენტს მივმართეთ და შევიტანეთ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული პრობლემების სისტემურ გადაწყვეტას, მათ შორის, მოქალაქეთა ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების კუთხითაც, რათა ყველა უფრო მეტად მოფრთხილებოდა საკუთარ მართვის მოწმობას და შესაბამისად დაეცვა მოძრაობის წესები. ასევე, ადმინისტრირების ნაწილში ეს პროექტი ახალ მექანიზმებსაც ითვალისწინებს, როგორიცაა უკონტაქტო პატრულირება, ქულათა სისტემა, გადასატანი რადარები, კამერები და ა.შ. თუმცა, ამის მიღება სამწუხაროდ იმ გარკვეული რეალობიდან გამომდინარე რაც პარლამენტში იყო, ვერ მოხდა. არა იმიტომ, რომ კანონპროექტს პარლამენტში მხარდამჭერები არ ჰყავდა. გარდა ამისა ქვეყნის მასშტაბით მოხდა კამერების ხელახალი აღწერა – რა კამერები გვაქვს, იქიდან რომელია ვარგისი და რომელი არა....

– შედეგები როგორია?

– გარკვეული რაოდენობა კამერების არის, თუმცა დამატება საჭიროა. ახლა მიმდინარეობს ვიდეოანალიტიკის შეძენის პროცედურა. რამდენიმე კომპანიაა ჩამოსული და მიდის ტესტირების პროცესი, ანუ ყველა კომპანია გვაჩვენებს თავის შესაძლებლობას. ეს არის ყველაზე საუკეთესო ვიდეოანალიტიკური პროგრამები, მოძრაობაზე გათვლილი. ჩვენ ვცდილობთ შევიძინოთ ყველაზე საუკეთესო ვიდეოანალიტიკა, რასაც ნიუ-იორკის, ლონდონისა და დუბაის პოლიცია იყენებს. დაახლოებით იგივე პროდუქტია ჩამოტანილი ჩვენთან. იქ, სადაც კამერები მოძველებული იყო ან არ მუშაობდა, ან მუშაობდა, მაგრამ მასზე ანალიტიკა არ ყენდებოდა, იქ განთავსდება ახალი კამერები, ე.წ. შავი წერტილებიდან გამომდინარე, ანუ იქ სადაც უფრო მეტი ავარიები ხდებოდა. ეს კამერები იქნება აღჭურვილი ვიდეოანალიტიკით.

რა არის ვიდეოანალიტიკა – როდესაც მძღოლი მოძრაობის წესებს დაარღვევს აღარ იქნება საჭირო ვიზუალურად ჩვენი თანამშრომლების მიერ ყურება და ამის ხელით დაფიქსირება. ამას უკვე სისტემა გააკეთებს, პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯზე, და მინიმალური იქნება იმის შანსი, რომ ვიღაც დაარღვევს მოძრაობის წესებს და ის არ დაჯარიმდება.

– ამის პროგრამა უკვე არსებობს? ალგორითმი უკვე დაწერილია?

– ალგორითმის დაწერას, მის დატესტვას და ა.შ. დროის ფაქტორიდან გამომდინარე, ჩვენ ვარჩიეთ შევიძინოთ კომპლექსური პროგრამა. ეს ეხება ასევე უსაფრთხოებასაც, მათ შორის მიტოვებულ ნივთებს, ტერორისტულ საფრთხეებს და ა.შ. აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად გაზრდის ადმინისტრირების ეფექტურობას და ვფიქრობთ, უკვე შემოდგომიდან ეს პროგრამა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გვექნება დამონტაჟებული. შევიძენთ ისეთ ვიდეოანალიტიკურ პროგრამას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს რეალობას და რომლის ფასიც უფრო მეტად იქნება მისაღები.

– კამერების ზომები როგორია? ვინაიდან მძღოლების უმეტესობა ხედავს მათ და იცის სადაა დამონტაჟებული...

– ზუსტად არის თავსებადობა. ჩვენ ამ შემთხვევაში ამოვდივართ იქიდან, რომ არსებული კამერები, რომლებიც სხვადასხვა კომპანიისაა, რამდენად თავსებადია ამ პროგრამასთან. მაქსიმალურად ვცდილობთ, საუკეთესო სტანდარტი დავნერგოთ. რაც უფრო მეტი კამერა იქნება, იქ ადამიანური ფაქტორი მთლიანად გამორიცხულია.

ამ პროგრამის ერთ-ერთი შესაძლებლობა არის ის, რომ ითვლის ორ კამერას შორის მანძილს და რა დროში უნდა დაფაროს ის მძღოლმა საშუალო სიჩქარით, ანუ თუ ავტომანქანამ კამერასთან შეანელა, შემდეგ მოუმატა სიჩქარეს, მეორე კამერასთან კვლავ დაამუხრუჭა და შეანელა, ეს მაინც დაფიქსირდება. რაც შეეხება კამერების დაშორებებს, მანძილი იქნება რაციონალური. ეს მექანიზმი ძალიან ეფექტურია. ჩვენს ლატვიელ კოლეგებთან გავიარეთ კონსულტაციები, რადგან მათაც მსგავსი პრობლემები ჰქონდათ. მათ ერთ-ერთი მეთოდი პრევენციისთვის სწორედ ეს მექანიზმი გამოიყენეს და როგორც გვითხრეს, ამან დაახლოებით 50%-იანი პრევენცია მისცათ.

– სიჩქარის გადაჭარბებას შევეხები. თავის დროზე ამ დარღვევაზე არსებული ჯარიმები შემცირდა. დღეს ეს ჯარიმა 50 ლარია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება შეცდომა იყო და თუ გეგმავს შსს აღნიშნული ჯარიმა გაზარდოს?

– ჩვენ ამის ანალიზიც გავაკეთეთ და პარლამენტში ინიცირებულ პროექტში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, ანუ თუ დაშვებულ სიჩქარეს და გადაჭარბების მაქსიმალურ ზღვარს ანუ დამატებით 15 კილომეტრს ოდნავ გადაამეტებ, დაჯარიმდები იმ ოდენობით, რაც დადგენილია. მაგრამ თუ გადაჭარბება ძალიან დიდია და ვთქვათ, სადაც დასაშვები სიჩქარე არის 60 კმ/სთ და მიდიხარ 100-ით, მაშინ ჯარიმის ოდენობა გაცილებით დიდია და 200 ლარამდე აღწევს.

წინა ცვლილებები განპირობებული იყო იმით, რომ არსებობდა ყველას მიმართ ძალიან მკაცრი სანქცია და ადამიანები, ვინც მაგალითად, 15 კილომეტრს 1 კილომეტრით გადააჭარბებდნენ ისინიც მკაცრად ისჯებოდნენ და ისინიც, ვინც ძალიან ჩქარა დადიოდნენ. იმ ანალიზით, რომელიც გაკეთდა, კერძოდ ძალიან მკაცრი და შერბილებული სანქციების პერიოდების ანალიზის საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება, ჯარიმები ყოფილიყო დიფერენცირებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება ესაა. ვნახოთ რა რას მოგვცემს პრაქტიკა, რადგან დიფერენცირებული მიდგომა საქართველოსთვის სიახლეა და იმის მიხედვით გამოჩნდება, გასაზრდელია თუ არა სანქციები სიჩქარის გადაჭარბებაზე.

– სანამ პარლამენტი დაამტკიცებს კანონპროექტს, რომელიც ინიცირებულია შსს-ს მიერ, მანამდე თუ გაქვთ რაიმე მექანიზმი ან ბერკეტი იმისა, რომ გარკვეული ინიციატივებით მიმართოთ საკანონმდებლო ორგანოს და რეგულაციები დაჩქარებული წესით იყოს მიღებული, თუნდაც სექტემბერში, ამ მოწვევის პარლამენტის მიერ?

– კამერების განთავსება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში შესაძლებელია და არ მოითხოვს დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებს. მაღე პარლამენტი კანომდებლობიდან გამომდინარე რეგულარულად არ შეიკრიბება. ვადებიდან გამომდინარე ახალი პარლამენტი როგორც კი შეიკრიბება, ამაზე უნდა იმსჯელოს ყველა შემთხვევაში. ეს საკითხი დღის წესრიგში მაინც იდგება, რადგან პრობლემა რეალურია. წლის განმავლობაში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა ციფრი, 600 ადამიანი დაახლოებით 6-7-ჯერ აღემატება მკვლელობების ციფრს და თუკი მკვლელობებზე საზოგადოების აღშფოთება და რეაქცია ძალიან მაღალია და ვფიქრობ, აბსოლუტურად ჯანსაღი, რატომღაც ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ არის.

– რამდენჯერმე ახსენეთ სახიფათო მონაკვეთები და ე.წ. შავი წერტილები. როგორც ვხვდები გაქვთ გარკვეული ინფორმაცია ამ მონაკვეთებზე. ამჟამად თუ არის ამ გზებზე ან მონიტორინგი ან გახშირებული პატრულირება? რა პრევენციულ ღონიძიებებს აწარმოებენ სამართალდამცველები?

– პერიოდულად ახლდება ხოლმე ეს ინფორმაცია, თუ სად არის ყველაზე მეტი საფრთხე. აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციას მხოლოდ ჩვენს წყაროებზე დაყრდნობით არ ვანახლებთ. პერიოდულად ხდება სკოლების გამოკითხვა, განათლების სამინისტროს მიერ. ამის პრევენცია არის ის, რომ არსებული საპატრულო მანქანები, იმ ადგილებში სადაც ისინი პატრულირებენ, უფრო მეტად ყურადღებით არიან როგორც წესი, არსებული რესურსების ფარგლებში. გარდა ამისა, ახალი კამერები იქ დამონტაჟდება.

თუმცა, კიდევ ერთი პროექტი, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ და საპილოტე რეჟიმში უკვე დაწყებულია, მაგრამ ძალიან ცოტა ადგილებს ფარავს, ეს არის ქვეითი პატრულირება. ვფიქრობთ იგივე სკოლებში, სადაც სახიფათო გადასასვლელებია, ასეთი ტიპის პრევენცია უნდა იყოს გატარებული. ჩვენ ამის პლიუსებს და მინუსებს დაახლოებით შევაჯამებთ. გვინდა რომ ამერიკელ ექსპერტებთანაც გავიაროთ კონსულტაცია იმისთვის, რომ რესურსები არასწორად არ გამოვიყენოთ და ერთ-ერთი ინსტრუმენტი პრევენციისა ასეთ მონაკვეთებზე, რომლებიც ქვეითთა გადასასვლელებს უკავშირდება, ქვეითი პატრულირება იქნება.

– რაც შეეხება შსს-ს მიერ წარმოებულ კამპანიას, "შენი გულისთვის შენი უსაფრთხოებისთვის", რამდენად ეფექტურია ის და რა შედეგები მისცა უწყებას, თუნდაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში?

– ამ კამპანიის ძირითადი მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგზაო შემთხვევების პრევენციაა. საზოგადოებაში უნდა დაინერგოს კულტურა – დაიცვან კანონი და საგზაო მოძრაობის წესები. თავად კამპანიის სლოგანიც და ლოგო შეიქმნა იდეით: საგზაო ნიშნები იცავენ ჩვენს გულს – სიცოცხლეს. ჩვენ გვინდა, ვუთხრათ თითოეულ მოქალაქეს, რომ ჩვენი მთავარი მიზანია პრევენცია, ჩვენ უნდა ავირიდოთ ისეთი ტრაგიკული შემთხვევები, როგორიც ხდება. ამ შემთხვევაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ძალიან პრინციპულია და ამიტომ დავიწყეთ ეს კამპანია.

მოხარული ვარ, რომ კამპანიაში ჩაერთო ყველა – საქართველოს მოქალაქეები, უცხოელები, სამთავრობო უწყებები, არასამთავრობოები, მედია, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, სტუდენტები, საჯარო სკოლები, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები, კერძო სექტორი... განხორციელდა ბევრი აქტივობა, მათ შორის: სკოლებში კონკურსები და შემეცნებით-ინტერაქტიული გაკვეთილები, ტელე და რადიო გადაცემები, სარეკლამო რგოლები და ა.შ. როგორც ჩანს, საზოგადოებაში იყო ამ კამპანიის მოლოდინი და ამიტომ მივიღეთ ასეთი ჩართულობა.

გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე ჩვენი პატრულ-ინსპექტორები დადიოდნენ სკოლებში და საგზაო უსაფრთხოების თემაზე ბავშვებს ინტერაქტიულ-შემეცნებით გაკვეთილებს უტარებდნენ. სექტემბრიდან ეს გაკვეთილები გაგრძელდება, ასევე, ვიწყებთ პროგრამას და გვინდა ამასაც სისტემური სახე მიეცეს, როდესაც საპატრულო პოლიციის, სახანძროს, სამაშველოს, სასწრაფო დახმარებით წარმომადგენელი სკოლაში მოყვებიან საკუთარ პროფესიაზე. მოქალაქის აღზრდა ბაღიდან და სკოლიდან იწყება. ის, რა ვითარებაც დღეს გვაქვს, როცა ადამიანები ასე მასშტაბურად არღვევენ საგზაო მოძრაობის წესებს, ვფიქრობ, თავის დროზე ამ მიმართულებით განათლების დეფიციტის ბრალია.

– ბევრი ადამიანისთვის, შეიძლება ითქვას მარტივია მართვის მოწმობის აღება და ბევრი მოწმობას იღებს ისე, რომ არ არის მზად ქალაქში, გზებზე სასიარულოდ. მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა შეიძლება თუ არა რომ გამკაცრდეს ან დაიხვეწოს?

– ჩვენ არათუ შესაძლებლობას განვიხილავთ, არამედ ვალდებულება გვაქვს ევროკავშირის წინაშე, რომ მართვის მოწმობის აღების გამოცდის დახვეწა უნდა მოხდეს. ვფიქრობთ, 2017 წლის მეორე ნახევრიდან მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა უნდა შეიცვალოს. ახლა შსს-ს მომსახურების სააგენტო ამაზე მუშაობს. ორი-სამი ქვეყნის გამოცდილება ნახეს, სადაც ყველაზე მაღალი სტანდარტი არის ამ მხრივ. ვფიქრობთ, გამოცდის პირველი ეტაპი, რაც დღეს გვაქვს დარჩება და დაემატება უკვე პრაქტიკული გამოცდა რეალურ პირობებში, ქალაქში.

განიხილება რამდენიმე ვარიანტი, ერთი არის რომ ქალაქის პირობებში გარკვეული ქუჩები აღიჭურვოს იმ ინფრასტრუქტურით რაც საჭიროა, თუმცა ეს ძალიან ძვირი პროექტია. არის კიდევ რამდენიმე სხვა ალტერნატივა და ვფიქრობ 2017 წლის მეორე ნახევარში, მაქსიმუმ 2017 წლის ბოლოსთვის ეს შეიცვლება. შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი მნიშვნელოვნად გართულდება.

ესაუბრა ᲗᲘᲜᲐ ᲙᲝᲨᲙᲐᲫᲔ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

დავით ყიფიანის ავტოგრაფი

გაგანია საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში გულშემატკივრები სპორტული მას-მედიის დიდი რაოდენობით განებივრებულები არ გახლდნენ. „ლელო“, „სოვეტსკი სპორტი“ და ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეი“. სპორტის თაყვანისმცემლებს საჭირო ინფორმაციები ამ სამი გამოცემიდან უნდა მიეღოთ. ეს საკმარისი არ გახლდათ და ე.წ. „ჭორის ინსტიტუტი“ აქტიურად მოქმედებდა. დღეს ინფორმაციის ნაკლებობას აღარ განვიცდით და ამა თუ იმ მოთამაშის პირად ცხოვრებას ისევე კარგად ვიცნობთ, როგორც ჩვენი ოჯახის წევრებისა ან ახლობლების.

დღევანდელ „სპორტულ მოგონებებში“ რამდენიმე ადრინდელი შემთხვევა უნდა გაგახსენოთ.

ცნობილი მსახიობი და სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე იხსენებდა:

„1981 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ლონდონში ადგილობრივი „ვესტ ჰემი“ 4:1 რომ გაანადგურეს, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციას მთავარ მწვრთნელ ნოდარ ახალკაცთან ერთად, ლეგენდარული დათო ყიფიანიც ესწრებოდა და ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა.

საკუთარი გუნდის მარცხით გამწარებულმა ერთ-ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა დათოს უთხრა: მართალია, გაიმარჯვეთ, მაგრამ ისეთ ქვეყანაში ცხოვრობთ, ვიცი, ცოტას გიხდიან და მშიერი რომ არ დარჩეთ, ჩვენთან გადმობარგდით სათამაშოდო. შემდეგ კი დამამცირებლად, ორმოცდაათფუნტიანი კუპიურა გაუწოდა...

დარბაზი გაისუსა. დათომ ჟურნალისტს კუპიურა გამოართვა. ჯიბიდან კალმისტარი ამოიღო, ხელი მოაწერა კუპიურაზე და უკან დაუბრუნა. თქვენ კი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობთ, სადაც ძალიან ადვილია, უმუშევარი დარჩეთ და შიმშილით რომ არ მოკვდეთ, ეს კუპიურა გაიხსენეთ, ათმაგ ფასში გაგეყიდებათ. ეს კი პირველ ხანებში, პურის ფულად გეყოფათო... დარბაზმა მქუხარე ტაში დასცხო. ჟურნალისტი კი იქიდან გაიძურწა“.

ნება მომეცით გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი მიხეილ მესხი გავიხსენო. ალბათ საინტერესო იქნება მიხეილ მესხის ფინტის „დაბადების“ პერიპეტიების მოგონება. ამ „თემაზე“ იმდროინდელი ქართველი გულშემატკივრები უსასრულოდ კამათობდნენ.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მიხეილმა კინოთეატრში იხილა გარინჩას თამაში ცოცხლად, როდესაც საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს პირველად. 21 წლის თავდამსხმელმა ბრაზილიელი კოლეგის ეფექტური მოძრაობა დაიჭირა და მთელი წლის განმავლობაში ამუშავებდა ფინტს. თუმცა, არ გამოსდიოდა. ამის მიზეზი იყო გარინჩას საოცარი სასტარტო სისწრაფე, რაც მესხს არ ჰქონდა შესაფერისი დონის. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ „დინამოს“ მცველმა, ვლადიმერ ელოშვილმა, მიხეილს აჩვენა ფინტი, რომელიც მის წინააღმდეგ გამოიყენეს საერთაშორისო დონეზე. მეგობრებმა ამის გამეორება სცადეს, როდესაც მესხის ჯერი მოვიდა, მან ცოტათი განსხვავებული, მაგრამ მოულოდნელად გასაოცარი მოძრაობა გააკეთა. მიხეილმა ეს უმალვე ჩაიბეჭდა გონებაში და გარკვეული დროის შემდეგ, უკვე თამაშშიც გამოიყენა.

პირველად, მესხმა საკუთარი ფინტი 1959 წლის 6 სექტემბერს „გაიტანა სცენაზე“ და დაანახა პუბლიკას. ეს, მისი ეროვნულ ნაკრებში დებიუტის, ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური თამაშის დროს მოხდა. აღსანიშნავია, რომ ახალწვეულს „ლუჟნიკების“ სტადიონი არ შეხვდა თბილად. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მან შეცვალა ყველასათვის საყვარელი ანატოლი ილინი, მეორეც, მიხეილი ხომ ქართველი იყო. თუმცა, 22 წლის „ქართველმა ვირტუოზმა“ ისე ატრიალა ფლანგზე საკმაოდ გამოცდილი ჩეხი მცველი შაფრანეკა, რომ ხალხი მისგან არა გოლებს, არამედ ფინტებს ელოდა. თუმცა, მან სადებიუტო შეხვედრაში თავის გამოჩენა მოახერხა. როგორც შემდეგ თავად აღიარა, ეს გოლი მის კარიერაში ყველაზე ლამაზი იყო. ალექსანდრ ივანოვის კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი აშკარად არ ვარგოდა და საპირისპირო მხარეს ეშვებოდა კარის გასწვრივ მდებარე ხაზის იქით, მაგრამ მესხმა დაიჭირა და ფაქტიურად ნულოვანი კუთხიდან ჩასვა კარის ბადეში. 102 ათასი ადამიანი წამოდგა ფეხზე და დაუკრა ტაში, მათ ასეთი რამ აქამდე არასოდეს ენახათ „ლუჟნიკების“ ლეგენდარულ სტადიონზე.

მიხეილ მესხის შემდეგ რამაზ შენგელია გავიხსენოთ. ლაღი, ნამდვილი ქუთაისური იუმორი ახლდა რამაზის საუბარს, გულიანი ხუმრობა.

„1987 წელს გერმანულ „ვერდერთან“ უეფას თასის მატჩი გვქონდა სათამაშო. ჩვენამდე გერმანელებმა მოსკოვის „სპარტაკს“ მოუგეს ბრემენში 6:2(!). იმ წელს „დინამოს“ ვერ ედგა კარგი დროება, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა უწევდა, „სპარტაკი“ კი ჩემპიონი იყო. როგორია, ამისთანა გუნდმა ასეთი ანგარიშით წააგო და ვინ იცის, ჩვენ რა გველოდა. თამაშის წინ, როდესაც სტადიონზე მივდიოდით, ავტობუსში მე და ჭომამ მოვითათბირეთ – როგორც კი პირველ წუთებში გოლებს გაგვიტანენ, თეთრი მაისურები გავიხადოთ, ავაფრიალოთ და დავიძახოთ, კაპუტ, კაპუტო(!)...“

ვისაც ადარ ახსოვს, შევახსენებთ იმ თამაშის ამბავს: მე-10 წუთზე მართლაც უკვე 0:2-ს ვაგებდით, მაგრამ რამაზ შენგელიამ იქვე ისეთი გოლი გაუტანა გალაღებულ გერმანელებს, ტრიბუნები წამოშალა ფეხზე...

ფეხბურთიდან ჭადრაკზე გადავინაცვლოთ.

გამოჩენილი სომეხი საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ტიგრან პეტროსიანი თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი. ამ თამაშის ანბანს პეტროსიანი საქართველოს დედაქალაქში ეზიარა, რითაც ის ამაყობდა კიდეც. ძალიან უყვარდა აქაურობა და რა თქმა უნდა, ქართულ ენასაც საფუძვლიანად ფლობდა. გენიალურ სომეხ მოჭადრაკეს ახლო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა თავის ქართველ კოლეგებთან. ისინი მას მოფერებით ტიგოს (ტიგრანის კნინობითი ფორმა) ეძახდნენ.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისია. ლატვიის დედაქალაქ რიგაში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი იმართება ორ ექსჩემპიონს – პეტროსიანსა და მიხეილ ტალს შორის. ტალი რიგელი იყო. თავის „ტერიტორიაზე“ თამაშობდა და პროფკავშირების სასახლე, სადაც ეს მატჩი იმართებოდა, ტალის გულშემატკივრებით იყო სავსე.

დარბაზში შეკრებილ ჭადრაკის სპეციალისტებს შორის, იყვნენ სახელოვანი ქართველი მოჭადრაკეებიც. ისინი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მატჩის მიმდინარეობას სცენაზე დამონტაჟებული დაფის საშუალებით, რომელიც შუაში ეკიდა და სეკუნდანტი მსაჯი მასზე სვლებს აკეთებდა. როგორც წესია, საჭადრაკო დარბაზში ყოველთვის სამარისებური სიჩუმეა, რომ მოთამაშეებს ხელი არ შეეშალოთ ან დარბაზიდან არავინ უკარნახოს სვლა. ამ წესს ყველა იცავს, ხოლო დამრღვევი უსიტყვოდ გაჰყავთ...

მერვე პარტიის მსვლელობისას დარბაზში მყოფმა ქართველმა მოჭადრაკეებმა შეამჩნიეს, რომ პეტროსიანი მხედრით (ცხენით) სვლას არ აკეთებდა, დარბაზში მოჭადრეკეებთან ერთად საქართველოს სპორტკომიტეტის თანამშრომელი კაკო გვასალიაც იმყოფებოდა, რომელიც, იმავდროულად, პეტროსიანის ბავშვობის მეგობარი იყო. საზრიანმა გვასალიამ რომ შეიტყო, რაშიც იყო საქმე, არც აცია, არც აცხელა და ხალხით გაჭედილ დარბაზში ფეხზე წამოდგა. პეტროსიანის გასაგონად, ერთ-ერთ ქართველ მოჭადრაკეს დაუყვირა: **“აჩუ, ტიგო, აჩუო”**. პეტროსიანი ყველაფერს მიხვდა და ის პარტია ტალს მოუგო.

მართალია, გვასალია დარბაზიდან გააძევეს, მაგრამ მსაჯები ვერაფერს მიხვდნენ. სომეხი გროსმაისტერი კი მეოთხედფინალური მატჩის გამარჯვებული გახდა.

სანტიაგო გაუჩო

მიმართვა ბიზნესმენებისადმი

ბატონებო!

ამ დღეებში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, ბატონმა გია კვაშილავამ ინტერნეტ-სივრცეში გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კემბრიჯში (ინგლისი), ათენსა (საბერძნეთი) და ჰარვარდში (აშშ) დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციები.

ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა, რომ აღნიშნულ ღონისძიებებში სამეცნიერო მოხსენების საჯაროდ წარსადგენად მიწვეული არის ბატონი კვაშილავა, რომელიც გახლავთ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი.

ბატონი კვაშილავას ინფორმაციით მის მიერ კონფერენციებზე წარსადგენი მოხსენება უკავშირდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის A კლასის ხაზოვან წარწერების საერთო-ქართველურ ენაზე გაშიფვრას. ბატონი კვაშილავას მიერ დეშიფრირების შედეგად ირკვევა, რომ პირველი ქართველური მარცვლოვანი დამწერლობა შეიქმნა 4.000 წლის წინ.

ამდენად, მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამემამულის მიერ გაწეული სამეცნიერო კვლევის შედეგი არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული კოლხურ-იბერიული მოდგმისათვის, რათა მან დაიკავოს კუთვნილი დირსეული ადგილი კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ერთა შორის. გამომდინარე აქედან, ეროვნულ-პატრიოტულ ფასეულობებზე ორიენტირებულო პატივცემულო ბიზნესმენებო, მოგმართავთ თხოვნით და თუ გნებავთ მოწოდებითაც, რომ გაუწიოთ შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, ბატონ გია კვაშილავას, რათა მან შესძლოს ზემოთადნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობა და ჩვენი ეროვნული, მაგრამ მნიშვნელობით ზოგადსაკაცობრიო მეცნიერული აზრის მსოფლიოსათვის გაცნობა...

პატივისცემით,

გაზეთ “ილორის” რედაქცია.

ბატონი გიას საბანკო ანგარიშებია:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი: TBCBGE22

ლარის ანგარიში:

CE52TB7004027365100008

მიმღების დასახელება: გია კვაშილავა

TBC BANK FOR USD TRANS - FER BENEFICIARY,S BANK: HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22 JSK TBC BANK , Head Office BEN,S Account: GE84TB7402736612500001 NAME OF BENEFICIARY: GIA KVASHILAVA

მზეზე აქტივობის მორიგი პიკი იწყება

ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ მზეზე აქტივობის მორიგი პიკი იწყება, რომელიც უახლოეს რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება. თუმცა, მათი სიტყვებით, ეს პროცესი არ იქნება ისე ფართოდ გამოკვეთილი, როგორც ეს 2000 წელს იყო და, ამიტომ არ უნდა მოახდინოს სერიოზული გავლენა დედამიწის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე.

„კატაკლიზმები მზეზე, ჩვეულებრივ, დედამიწაზეც აირეკლება. მაგნიტური ქარიშხლების გავლენა დედამიწელთა ჯანმრთელობაზე უკვე მტკიცედ დამკვიდრდა საზოგადოების აზროვნებაში, რაც დღეისთვის სტატისტიკური და კლინიკური გამოკვლევებით მტკიცდება, – განაცხადეს ამერიკელმა ექსპერტებმა, – მეტეო და ელექტრომაგნიტური ქმედებების შეგრძნების ხარისხის მიხედვით, ადამიანის ორგანიზმი რეაგირებს შეფარდებით 9:6:4, შესაბამისად, ატმოსფეროს ტემპერატურაზე, მაგნიტურ შეშფოთებებსა და ატმოსფერულ წნევაზე”.

იუმორი

ცირკის დირექტორი ეუბნება ახალ კლოუნს:

– მეგობარო, აქედანვე გეუბნებით, რომ ჩვენს ცირკს შესაშური ტრადიციები აქვს.

– მაგალითად?

– თქვენამდე რომ კლოუნი იყო, სიკვდილის შემდეგ სამი დღის განმავლობაში სიცილით დახოცა მორგის თანამშრომლები.

* * *

– კაცო, მე რომ ლომას გეძახი, შენ რატომ არ შემირჩიე მოფერებითი სახელი?

– კაი, დღეიდან ფაქიზოს დაგიძახებ.

– რატომ, ფაქიზოს?

– აბა, პირდაპირ ძროხა გირჩევნია?

* * *

– ჩემმა ქმარმა მითხრა, სანადიროდ მივდივარო.

– მერე, დაუჯერე, სულელო?

– ცარიელი მოვიდა და დავუჯერებდი, აბა რას ვიზამდი?!

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– ძალიან მჯერა ჰოროსკოპის, – ამბობს ერთი, – ჩემი ქვა საფირონია, შენი?

– აგური!

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge